მრეწველებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

 კვირა, 7 ნოემბერი, 1943 წ. № 232 (6857). ფასი 20 კაპ.

გაუმარჯოს XXVI წლისთავს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისას, რომელმაც დაამხო იმპერიალისტების ძალაუფლება ჩვენს ქვეყანაში და გამოაცხადა მშვიდობიანობა მთელი მსოფლიოს ხალხთა შორის!

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავისათვის

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენება მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს და ქ. მოსკოვის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა 1943 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე

(მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. პრონინი სიტყვას აძლევს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხანაგ ი. ბ. სტალინს.

ტრიბუნაზე ამხანაგ სტალინის გამოჩენას დამსწრენი მქუხარე, ხანგრძლივი ოვაციებით მიესალმებიან.

დარბაზის ყოველი კუთხიდან გაისმის მისასალმებელი შეძახილები: „გაუმარჯოს ჩვენს ბელადს დიდ სტალინს!“, „ვაშა დიდ სტალინს!“, „ვაშა ამხანაგ სტალინს!“.

დაუცხრომელი მქუხარე ოვაცია დიდხანს გრძელდება. ამხანაგი სტალინი იწყებს მოხსენებას).

ამხანაგებო!

დღეს საბჭოთა კავშირის ხალხები დღესასწაულობენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავს.

ჩვენი ქვეყანა მესამედ აღნიშნავს თავისი სახალხო რევოლუციის წლისთავს სამამულო ომის ვითარებაში.

1941 წლის ოქტომბერში მძიმე დღეებს განიცდიდა ჩვენი სამშობლო. მტერი დედაქალაქს მოადგა. ხმელეთიდან შემოერტყა ლენინგრადს. ჩვენი ჯარები იძულებული იყვნენ უკან დაეხიათ. საჭირო გახდა არმიის უდიდესი ღონისძიებანი და ხალხის მთელი ძალ-ღონის დაძაბვა, რათა შეგვეკავებინა მტერი და სერიოზულად დაგვერტყა მისთვის მოსკოვთან.

1942 წლის ოქტომბერში საფრთხე კიდევ უფრო მეტად გაიზარდა ჩვენი სამშობლოსათვის. მტერი მაშინ სულ რაღაც 120 კილომეტრზე იყო მოსკოვთან, სტალინგრადში შეიჭრა, კავკასიის მთის კალთებზე შესდგა ფეხი. მაგრამ არმია და ხალხი ამ მძიმე დღეებში სულიერად კი არ დაცემულან, არამედ მედგრად იტანდნენ ყოველგვარ განსაცდელს. მათ ჰპოვეს თავისში ძალა, რათა შეეკავებინათ მტერი და საპასუხო დარტყმა ეგემებინათ მისთვის. დიდი ლენინის ანდერძის ერთგულნი, ისინი ძალ-ღონისა და სიცოცხლის დაუზოგავად იცავდნენ ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარს. როგორც ცნობილია, არმიისა და ხალხის ამ ღონისძიებებმა ამაოდ არ ჩაიარა.

გასული წლის ოქტომბრის დღეების შემდეგ ჩვენი ჯარები მალე შეტევაზე გადავიდნენ და ახალი მძლავრი დარტყმა აგემეს გერმანელებს ჯერ სტალინგრადთან, კავკასიაში, დონის შუაწელის რაიონში, ხოლო შემდეგ, 1943 წლის დასაწყისში, ველიკიე ლუკისთან, ლენინგრადთან, რუევისა და ვიაზმის რაიონში. მის შემდეგ წითელ არმიას უკვე აღარ გაუშვია ხელიდან ინიციატივა. ამა წლის მთელი ზაფხულის განმავლობაში მისი დარტყმები სულ უფრო და უფრო მაგარი ხდებოდა, მისი მეომრული ოსტატობა თვიდან თვემდე ძლიერდებოდა. მას აქეთ ჩვენი ჯარები დიდ გამარჯვებებს აღწევენ, გერმანელები კი ზედიზედ მარცხდებიან. ბევრს ეცადა მტერი, მაგრამ მაინც ვერ მიაღწია ვერც ერთ რამდენადმე სერიოზულ წარმატებას საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე.

1. ძირფესვიანი გარღვეხის წელი ომის მსვლელობაში

ოქტომბრის XXV წლისთავიდან XXVI წლისთავამდე განვლილი წელი სამამულო ომის გარდატეხის წელია.

ეს წელიწადი გარდატეხის წელი იყო პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ ამ წელს წითელმა არმიამ ომის განმავლობაში პირველად შესძლო განეხორციელებინა გერმანელთა ჯარების წინააღმდეგ ზაფხულის დიდი შეტევა, ამასთან, ჩვენი ჯარების დარტყმების შედეგად, გერმანელ ფაშისტთა ჯარები იძულებული გახდნენ სასწრაფოდ დაეტოვებინათ მათ მიერ დაკავებული ტერიტორია, ზოგჯერ გაქცევით გადარჩენილიყვნენ გარშემორტყმას და ბრძოლის ველზე მიეტოვებინათ დიდძალი ტექნიკა, საჭურვლისა და საომარი მასალის საწყობები, დაჭრილი ჯარისკაცები და ოფიცრები.

ამგვარად, ამა წლის მეორე ნახევრის ჩვენი ზაფხულის კამპანიის წარმატებები ამა წლის დასაწყისის ჩვენი ზამთრის კამპანიის წარმატებათა გაგრძელება და დაგვირგვინება იყო.

ახლა, როდესაც წითელმა არმიამ, ავითარებდა რა ზამთრის კამპანიის წარმატებებს, მძლავრად დაარტყა გერმანელთა ჯარებს ზაფხულში, შეიძლება საბოლოოდ დასამარებულად ჩაითვალოს ზღაპარი იმის შესახებ, რომ წითელ არმიას ვითომდა უნარი არ შესწევს აწარმოოს წარმატებითი შეტევა ზაფხულში. გასულმა წელმა ცხადჰყო, რომ წითელ არმიას ისევე კარგად შეუძლია შეტევა ზაფხულში, როგორც ზამთარში.

ამ შეტევითი ოპერაციების შედეგად ჩვენმა ჯარებმა შესძლეს გასული წლის განმავლობაში ბრძოლებით გაევლოთ 500 კილომეტრიდან ფრონტის ცენტრალურ ნაწილში 1.300 კილომეტრამდე სამხრეთში (ტაში) და გაეთავისუფლებინათ 1 მილიონამდე კვადრატული კილომეტრი ტერიტორია, ე. ი. მტრის მიერ დროებით ხელში ჩაგდებული საბჭოთა მიწა-წყლის $^{2}/_{3}$-მდე, ამასთან მტრის ჯარები უკუგდებული აღმოჩნდნენ კავკავიდან ხერსონამდე, ელისტიდან კრივოი როგამდე, სტალინგრადიდან კიევამდე, ვორონეჟიდან გომელამდე, ვიაზმიდან და რუევიდან ორშისა და ვიტებსკის მისადგომებამდე.

გერმანელები, რომლებსაც საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე თავიანთ წინანდელ წარმატებათა სიმტკიცე არა სჯეროდათ, — წინასწარ, ხანგრძლივი დროის მანძილზე აშენებდნენ მძლავრ თავდაცვითს ზღუდეებს, განსაკუთრებით დიდი მდინარეების გასწვრივ. მაგრ მ ამა წლის ბრძოლებში გერმანელები ვერ კ მდინარეებმა და ვერც მძლავრმა სიმაგრეებმა ვერ იხსნეს. ჩვენმა ჯარებმა დაანგრიეს გერმანელთა თავდაცვა და 1943 წლის ზაფხულის მხოლოდ სამი თვის განმავლობაში ოსტატურად გადალახეს წყლის ოთხი მეტად სერიოზული ზღუდე—სევერნი დონეცი, დესნა, სოჟი და დნეპრი. მე უკვე აღარ ვლაპარაკობ ისეთ ზღუდეებზე, როგორიც იყო გერმანელთა თავდაცვა მდინარე მიუსის რაიონში—როსტოვის დასავლეთით და თავდაცვა მდინარე მოლოჩნაიას რაიონში—მელიტოპოლის მახლობლად. ახლა წითელი არმია წარმატებით ანადგურებს მტერს დნეპრს გაღმა.

ეს წელი გარდატეხის წელი იყო კიდევ იმიტომ, რომ წითელმა არმიამ შესძლო შედარებით მოკლე ვადაში გაეულიტა და გაენადგურებინა გერმანელ ფაშისტთა ჯარების ყველაზე გამოცდილი ძველი კადრები და ამასთან ერთად გამოეწრთო და გაემრავლებინა თავისი საკუთარი კადრები წლის მანძილზე წარმოებულ წარმატებითს შეტევითს ბრძოლებში. გასული წლის განმავლობაში გერმანელ ფაშისტთა არმიამ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე წარმოებულ ბრძოლებში დაჰკარგა 4 მილიონზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, აქედან არანაკლებ 1 მილიონ 800 ათასისა მოკლულთა სახით. გარდა ამისა, გერმანელებმა ამ წლის განმავლობაში დაჰკარგეს 14.000-ზე მეტი თვითმფრინავი, 25.000-ზე მეტი ტანკი და არანაკლებ 40.000 ქვემეხისა.

ახლა გერმანელ ფაშისტთა არმია უკვე ის აღარ არის, რაც იგი ომის დასაწყისში იყო. თუ ომის დასაწყისში მას გამოცდილი კადრების საკმაო რაოდენობა ჰყავდა, ახლა მასში შერეული არიან ახლადგამომცხვარი ახალგაზრდა გამოუცდელი ოფიცრები, რომლებიც გერმანელებს ნაჩქარევად გამოჰყავთ ფრონტზე, რადგან მათ არც აუცილებელი ოფიცერთა რეზერვები ჰყავთ და არც დრო აქვთ, რომ ისინი გაწვრთნან.

სულ სხვა სურათს წარმოადგენს ახლა წითელი არმია. მისი კადრები გაიზარდნენ და გამოიწვრთნენ წარმატებითს შეტევითს ბრძოლებში გასული წლის მანძილზე. მისი მებრძოლი კადრების რაოდენობა იზრდება და კვლავ გაიზრდება, რადგან აუცილებელი ოფიცერთა რეზერვების არსებობა აძლევს მას დროსაც და შესაძლებლობასაც გაწვრთნას ახალგაზრდა ოფიცერთა კადრები და პასუხსაგებ პოსტებზე დააწინაუროს ისინი.

დამახასიათებელია, რომ ნაცვლად 240 დივიზიისა, რომლებიც გასულ წელს ჩვენი ფრონტის წინ იდგნენ და რომელთაგან 179 დივიზია გერმანელთა იყო,—წელს წითელი არმიის ფრონტის წინ დგას 257 დივიზია, რომელთაგან 207 დივიზია გერმანელებისაა. გერმანელები, ეტყობა, ვარაუდობენ თავიანთი დივიზიების ხარისხის გაუარესება მათი რაოდენობის გადიდებით აინაზღაურონ. მაგრამ განვლილი წლის მანძილზე გერმანელთა მიერ განცდილი დამარცხება გვიჩვენებს, რომ დივიზიების გაუარესებული ხარისხი შეუძლებელია მათი რაოდენობის გადიდებით იქნას ანაზღაურებული.

წმინდა სამხედრო თვალსაზრისით გერმანელთა ჯარების დამარცხება ჩვენს ფრონტზე ამა წლის მიწურულისათვის წინასწარ იყო განსაზღვრული ორი უმნიშვნელოვანესი მოვლენით: ბრძოლით სტალინგრადთან და ბრძოლით კურსკთან.

სტალინგრადთან წარმოებული ბრძოლა დამთავრდა გერმანელთა 300-ათასიანი არმიის გარშემორტყმით, მისი განადგურებით და გარშემორტყმული ჯარების დაახლოებით $^{1}/_{3}$-ის დატყვევებით. წარმოდგენა რომ ვიქონიოთ ისტორიაში იმ უმაგალითო ხოცვა-ულეტის ფარგლებზე, რაც სტალინგრადის მინდვრებში დატრიალდა, უნდა ვიცოდეთ, რომ სტალინგრადის ბრძოლის დამთავრებისას აკრეფილ და დამარხულ იქნა 147.200 მოკლული გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და 46.700 მოკლული საბჭოთა ჯარისკაცი და ოფიცერი. სტალინგრადი გერმანელ ფაშისტთა არმიის მზის ჩასვენება იყო. სტალინგრადში მომხდარი ხოცვა-ულეტის შედეგ გერმანელებმა, როგორც ცნობილია, ვეღარ შესძლეს წელში გამართულიყვნენ.

რაც შეეხება კურსკთან მომხდარ ბრძოლას, იგი დამთავრდა გერმანელ ფაშისტთა ჯარების ორი ძირითადი შემტევი ჯგუფის განადგურებით და ჩვენი ჯარების კონტრშეტევაზე გადასვლით, რაც შემდეგ წითელი არმიის ზაფხულის მძლავრ შეტევად გადაიქცა. კურსკთან ბრძოლა ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან კურსკზე გერმანელების შეტევით დაიწყო. ეს იყო გერმანელთა უკანასკნელი ცდა — განეხორციელებინათ ზაფხულის დიდი შეტევა და მისი წარმატების შემთხვევაში აენაზღაურებინათ ის, რაც დაჰკარგეს. როგორც ცნობილია, შეტევა მარცხით დამთავრდა. წითელმა არმიამ არა მარტო მოიგერია გერმანელთა შემოტევა, არამედ თვითონ გადავიდა შეტევაზე და ზაფხულის განმავლობაში მთელი რიგი თანმიმდევრული დარტყმებით დნეპრს გადაღმა გადარეკა გერმანელ ფაშისტთა ჯარები.

თუ სტალინგრადთან ბრძოლა გერმანელ ფაშისტთა არმიის მზის ჩასვენებას მოასწავებდა, კურსკთან ბრძოლამ იგი კატასტროფის წინაშე დააყენა.

დასასრულ, ეს წელიწადი გარდატეხის წელი იყო იმიტომ, რომ წითელი არმიის წარმატებითმა შეტევამ ძირფესვიანად გააუარესა ფაშისტური გერმანიის სამეურნეო და სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობა და ულრმესი კრიზისის წინაშე დააყენა იგი.

გერმანელები ვარაუდობდნენ, რომ ამა წლის ზაფხულში წარმატებითს შეტევას განახორციელებდნენ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე, რითაც აინაზღაურებდნენ იმას, რაც დაჰკარგეს, და თავიანთ შერყეულ ავტორიტეტს აამაღლებდნენ ევროპაში. მაგრამ წითელმა არმიამ გერმანელთა ვარაუდები ჩაშალა, მათი შემოტევა მოიგერია, თვითონ გადავიდა შეტევაზე, დასავლეთისაკენ გარეკა გერმანელები და ამით გასთელა გერმანიის იარაღის ავტორიტეტი.

გერმანელები ვარაუდობდნენ, რომ კურსს აიღებდნენ ომის გაჭიანურებაზე, თავდაცვითი მიჯნებისა და „ზღუდეების“ აგება დაიწყეს და საქვეყნოდ გამოაცხადეს, რომ მათი ახალი პოზიციები მიუვალია. მაგრამ წითელმა არმიამ აქაც ჩაშალა გერმანელთა ვარაუდები, გაარღვია მათი მიჯნები და „ზღუდეები“, წარმატებით განაგრძობს შეტევას და დროს არ აძლევს მათ ომის გასაჭიანურებლად.

გერმანელები ვარაუდობდნენ, რომ „ტოტალური“ მობილიზაციის საშუალებით გამოასწორებდნენ მდგომარეობას ფრონტზე. მაგრამ მომხდარმა ამბებმა აქაც ჩაშალეს გერმანელთა ვარაუდები. ზაფხულის კამპანიამ უკვე შთანთქა „ტოტალურად“ მობილიზებულთა ორი მესამედი, მაგრამ არ ეტყობა, რომ ამ გარემოებას რაიმე გაუმჯობესება შეეტანოს გერმანელ ფაშისტთა არმიის მდგომარეობაში. შესაძლოა, საჭირო გახდეს კიდევ ერთი „ტოტალური“ მობილიზაციის გამოცხადება, ამასთან საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ასეთი ღონისძიების განმეორება რომელიღაც სახელმწიფოს „ტოტალურ“ დანგრევას არ გამოიწვევს. (მქუხარე ტაში).

გერმანელები ვარაუდობდნენ, რომ მტკიცედ შეინარჩუნებდნენ უკრაინას და გამოიყენებდნენ უკრაინის სოფლის მეურნეობის პროდუქტებს თავიანთი არმიისათვის და მოსახლეობისათვის, ხოლო დონეცის ქვანახშირს — ქარხნებისა და რკინიგზის ტრანსპორტისათვის, რომლებიც გერმანიის არმიას ემსახურებიან. მაგრამ ისინი აქაც მოსტყუვდნენ ანგარიშში. წითელი არმიის წარმატებითი შეტევის შედეგად გერმანელებმა დაჰკარგეს არა მარტო დონეცის ქვანახშირი, არამედ უკრაინის პურით ყველაზე უფრო მდიდარი ოლქებიც. ამასთან საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ისინი უკრაინის დანარჩენ ნაწილსაც არ დაჰკარგავენ უახლოეს ხანში. (მქუხარე ტაში).

ცხადია, რომ ყველა ამ ვარაუდის ჩაშლას არ შეეძლო არ გაეუარესებინა და ნამდვილადაც ძირფესვიანად გააუარესა ფაშისტური გერმანიის სამეურნეო და სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობა.

ფაშისტური გერმანია ღრმა კრიზისს განიცდის. იგი თავისი კატასტროფის წინაშე დგას.

2. საყოველთაო-სახალხო დახმარება ფრონტისადმი

წითელი არმიის წარმატებები შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა ყოფილიყო ხალხის მხარდაჭერა, საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომა ფაბრიკებსა და ქარხნებში, შახტებსა და მაღაროებში, ტრანსპორტზე და სოფლის მეურნეობაში. საბჭოთა ხალხმა ომიანობის მძიმე პირობებში შესძლო უზრუნველეყო თავისი არმია ყველაფრით, რაც კი მინიმალურად საჭიროა, და განუწყვეტლივ აუმჯობესებდა მის საბრძოლო ტექნიკას. მტერმა მთელი ომის განმავლობაში ვერ მოახერხა ეჯობნა ჩვენი არმიისათვის საჭურვლის ხარისხის მხრივ. ამავე დროს ჩვენი მრეწველობა სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობით აწვდიდა ფრონტს საბრძოლო ტექნიკას.

გასული წელი გარდატეხის წელი იყო არა მარტო საომარი მოქმედების მსვლელობაში, არამედ ჩვენი ზურგის მუშაობაშიც. ჩვენს წინაშე უკვე აღარ იდგა ისეთი ამოცანები, როგორიც არის საწარმოთა ევაკუაცია აღმოსავლეთში და მრეწველობის გადაყვანა საჭურვლის წარმოებაზე. ახლა საბჭოთა სახელმწიფოს გამართული სამხედრო მეურნეობა აქვს, რომელიც სწრაფად იზრდება. მაშასადამე, ხალხის მთელი ღონისძიებანი შეიძლებოდა მთლიანად მოგვეხმარებინა წარმოების გადიდებისათვის და საჭურვლის, განსაკუთრებით ტანკების, თვითმფრინავების, ქვემეხებისა და თვითმავალი არტილერიის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ამ მხრივ ჩვენ უდიდეს წარმატებებს მივაღწიეთ. წითელი არმია, რომელიც საყოველთაო-სახალხო დახმარებას ემყარებოდა, განუწყვეტლივ იღებდა საბრძოლო საჭურველს, აყრიდა მტერს მილიონობით ბომბებს, ნაღმებსა და ყუმბარებს, ათასობით ტანკი და თვითმფრინავი გამოჰყავდა ბრძოლაში. სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ ზურგში საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომა წითელი არმიის გმირულ ბრძოლასთან ერთად შევა ისტორიაში, როგორც ხალხის უმაგალითო გმირობა სამშობლოს დასაცავად. (ხანგრძლივი ტაში).

საბჭოთა კავშირის მუშებმა, რომელთაც მშვიდობიანი მშენებლობის წლებში უაღრესად განვითარებული მძლავრი სოციალისტური მრეწველობა შეჰქმნეს, სამამულო ომის დროს დაძაბული და მჩქეფარე მუშაობა გაუწიეს ფრონტის დასახმარებლად და ნამდვილ შრომითს გმირობას იჩენდნენ.

ყველასათვის ცნობილია, რომ სსრ კავშირის წინააღმდეგ ომში ჰიტლერელებს ჰქონდათ არა მარტო გერმანიის ძლიერ განვითარებული მრეწველობა, არამედ ვასალური და ოკუპირებული ქვეყნების საკმაოდ მძლავრი მრეწველობაც. მაგრამ ჰიტლერელებმა მაინც ვერ შეინარჩუნეს რაოდენობრივი უპირატესობა სამხედრო ტექნიკაში, რაც მათ ომის დასაწყისში ჰქონდათ საბჭოთა კავშირთან შედარებით. თუ ახლა ლიკვიდირებულია მტრის ყოფილი უპირატესობა. ტანკების, თვითმფრინავების, ნაღმსატყორცნებისა და ავტომატების მხრივ, თუ ჩვენი არმია ახლა აღარ განიცდის იარაღის, საომარი მასალებისა და საჭურვლის სერიოზულ ნაკლებობას, ეს უწინარეს ყოვლისა ჩვენი მუშათა კლასის დამსახურებას უნდა მივაწეროთ. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

საბჭოთა კავშირის გლეხებმა, რომლებმაც მშვიდობიანი მშენებლობის წლებში საკოლმეურნეო წყობილების საფუძველზე მოწინავე სოფლის მეურნეობად გარდაჰქმნეს ჩამორჩენილი მიწათმოქმედება, სამამულო ომის დროს გამოიჩინეს სოფლის ისტორიაში არნახული მაღალი შეგნება საყოველთაო-სახალხო ინტერესებისა. მათ ფრონტის დასახმარებლად თავდადებული შრომა ცხადჰყვეს, რომ საბჭოთა გლეხობას გერმანელთა წინააღმდეგ ახლანდელი ომი თავის საარსებო საქმედ, თავისი სიცოცხლისა და თავისუფლებისათვის ომად მიაჩნია.

ცნობილია, რომ ფაშისტთა ურდოების შემოსევის შედეგად ჩვენს ქვეყანას დროებით მოაკლდა უკრაინის, დონისა და უუბანის მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო რაიონები. მაგრამ მაინც ჩვენი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ისე ამარაგებდნენ სურსათით არმიასა და ჩვენს ქვეყანას, რომ ამ საქმეში სერიოზული შეფერხებები არა ყოფილა. რასაკვირველია, საკოლმეურნეო წყობილება რომ არა ყოფილიყო, კოლმეურნეთა და კოლმეურნე ქალთა თავდადებული შრომა რომ არა ყოფილიყო, ჩვენ ამ უძნელეს ამოცანას ვერ გადავწყვეტდით. თუ ომის მესამე წელს ჩვენი არმია სურსათის ნაკლებობას არ განიცდის, თუ მოსახლეობა მარაგდება სურსათით, ხოლო მრეწველობა—ნედლეულით, ამაში თავი იჩინა საკოლმეურნეო წყობილების ძალამ და სიცოცხლისუნარიანობამ, კოლმეურნე გლეხობის პატრიოტიზმმა. (ხანგრძლივი ტაში).

ფრონტისადმი დახმარების საქმეში დიდი როლი შეასრულა ჩვენმა ტრანსპორტმა, უწინარეს ყოვლისა რკინიგზის ტრანსპორტმა, აგრეთვე სამდინარო, საზღვაო და საავტომობილო ტრანსპორტმა. როგორც ცნობილია, ტრანსპორტი ზურგსა და ფრონტს შორის კავშირგაბმულობის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. შეიძლება საჭურველი და საომარი მასალები დიდი რაოდენობით დავამზადოთ, მაგრამ, თუ მათ დროზე არ მივაწვდით ფრონტს ტრანსპორტის საშუალებით, ისინი შეიძლება ფრონტის საქმისათვის უსარგებლო ტვირთად დარჩნენ. უნდა ითქვას, რომ ფრონტზე საჭურვლის, საომარი მასალების, სურსათის, ჩაცმულობის და სხვათა თავის დროზე მიტანის საქმეში ტრანსპორტის როლი გადამწყვეტია. და თუ ომიანობის დროის სიძნელეთა და სათბობის ნაკლებობის მიუხედავად ჩვენ მაინც შევძელით მოგვემარაგებინა ფრონტი ყოველივე იმით, რაც მას სჭირდება, ამაში ჩვენ უნდა ვცნოთ უწინარეს ყოვლისა ჩვენი ტრანსპორტელი მუშებისა და მოსამსახურეების დამსახურება. (ხანგრძლივი ტაში).

ფრონტისადმი დახმარების საქმეში მუშათა კლასსა და გლეხობას ჩვენი ინტელიგენციაც არ ჩამორჩენია. საბჭოთა ინტელიგენცია თავდადებით მუშაობს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმისათვის, განუწყვეტლივ სრულჰყოფს წითელი არმიის შეიარაღებას, წარმოების ტექნიკასა და ორგანიზაციას. იგი ეხმარება მუშებსა და კოლმეურნეებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობაში, წინ სწევს ომის პირობებში საბჭოთა მეცნიერებასა და კულტურას.

ეს პატივსა სდებს ჩვენს ინტელიგენციას. (ხანგრძლივი ტაში).

საბჭოთა კავშირის ყველა ხალხნი ერთსულოვნად აღსდგნენ თავიანთი სამშობლოს დასაცავად, რადგან მათ ახლანდელი სამამულო ომი სამართლიანად მიაჩნიათ ყველა მშრომელის საერთო საქმედ განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა. ახლა უკვე თვითონ ჰიტლერელი პოლიტიკოსები ხედავენ, რა უაღრესად სულელური იყო მათი ვარაუდები, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის მოხდებოდა გათიშვა და შეჯახებანი. ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობამ ომის ყველა სიძნელეს და განსაცდელს გაუძლო და კიდევ უფრო გამოიწვრთო ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ყველა საბჭოთა ადამიანის საერთო ბრძოლაში.

ამაშია საბჭოთა კავშირის ძლიერების წყარო. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

საბჭოთა ხალხის ხელმძღვანელი და წარმმართავი ძალა როგორც მშვიდობიანი მშენებლობის წლებში, ისე ომის დღეებში არის ლენინის პარტია, ბოლშევიკების პარტია. არც ერთ პარტიას არა ჰქონია და არა აქვს ისეთი ავტორიტეტი ხალხის მასებში, როგორიც ჩვენს ბოლშევიკურ პარტიას აქვს. და ეს გასაგებია. ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის მუშებმა, გლეხებმა და ინტელიგენციამ მოიპოვეს თავისუფლება და ააშენეს სოციალისტური საზოგადოება. სამამულო ომის დღეებში პარტია ჩვენს წინაშე წარმოსდგა, როგორც ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო ბრძოლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი. პარტიის ორგანიზატორულმა მუშაობამ გააერთიანა და საერთო მიზნისაკენ წარმართა საბჭოთა ადამიანების მთელი ღონისძიებანი, მტრის განადგურების საქმეს დაუმორჩილა მთელი ჩვენი ძალები და საშუალებანი. ომის განმავლობაში პარტია კიდევ უფრო შეესისხლხორცა ხალხს, კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა მშრომელთა ფართო მასებს.

(დასასრული იხ. მე-2 გვ.)

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საბჭოთა კავშირის მარშალ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის სუვოროვის I ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ სამამულო ომში წითელი არმიის ოპერაციების სწორი ხელმძღვანელობისათვის და მიღწეულ წარმატებათათვის დაჯილდოებულ იქნას საბჭოთა კავშირის მარშალი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი სუვოროვის პირველი ხარისხის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 6 ნოემბერი.

ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გ Ი. Ბ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ

ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲙᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ Ქ. ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ ᲝᲠ�გᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲗᲐ 1943 ᲬᲚᲘᲡ 6 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

ამაშია ჩვენი სახელმწიფოს ძლიერების წყარო. (ᲛᲫᲣᲮᲐᲠᲘ, ᲮᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲘ ᲢᲐᲨᲘ).

ახლანდელმა ომმა მთელი ძალით დაადასტურა ლენინის ცნობილ მითითება იმის შესახებ, რომ ომი ყოველი ხალხის მთელი მატერიალური და სულიერი ძალების ყოველმხრივი გამოცდაა. ომების ისტორია გვასწავლის, რომ მხოლოდ ის სახელმწიფოები უძლებდნენ ამ გამოცდას, რომლებიც თავიანთ მოწინააღმდეგეზე უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ მეურნეობის განვითარებითა და ორგანიზაციით, თავიანთი ჯარების გამოცდილებით, ოსტატობითა და საბრძოლო სულისკვეთებით, ხალხის გამძლეობითა და ერთიანობით ომის მთელ მანძილზე. სწორედ ასეთი სახელმწიფოა ჩვენი სახელმწიფო.

საბჭოთა სახელმწიფო არასოდეს არა ყოფილა ისე მტკიცე და ურყევი, როგორც არის ახლა, სამამულო ომის მესამე წელს. ომის გაკვეთილები მოწმობენ, რომ საბჭოთა წყობილება აღმოჩნდა არა მარტო საუკეთესო ფორმა მშვიდობიანი მშენებლობის წლებში ქვეყნის ეკონომიური და კულტურული აღმავლობის ორგანიზაციისა, არამედ საუკეთესო ფორმაც ომიანობის დროს მტრისადმი წინააღმდეგობის გასაწევად ხალხის მთელი ძალების მობილიზაციისა. 26 წლის წინათ შექმნილმა საბჭოთა ხელისუფლებამ ჩვენი ქვეყანა მოკლე ისტორიულ ვადაში ურყევ სიმაგრედ გადააქცია. წითელ არმიას მსოფლიოს ყველა არმიათა შორის ყველაზე მტკიცე და საიმედო ზურგი აქვს.

ამაშია საბჭოთა კავშირის ძლიერების წყარო. (ᲛᲫᲣᲮᲐᲠᲘ, ᲮᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲘ ᲢᲐᲨᲘ).

ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა სახელმწიფო ძლიერი და კიდევ უფრო განმტკიცებული გამოვა ომიდან. გერმანელი დამპყრობლები იკლებენ და აოხრებენ ჩვენს მიწა-წყალს, ცდილობენ შეარყიონ ჩვენი სახელმწიფოს ძლიერება. წითელი არმიის შეტევამ წინანდელზე უფრო მეტად გამოამჟღავნა ჰიტლერული არმიის ბარბაროსული, ბანდიტური ხასიათი. გერმანელებმა ასიათასობით ჩვენი მშვიდობიანი ადამიანი გაულიტეს მათ მიერ დაკავებულ რაიონებში. გერმანელი ბოროტმოქმედნი შუა საუკუნეთა ბარბაროსებისა და ატილას ურდოების მსგავსად სთელავენ მინდვრებს, სწვავენ სოფლებსა და ქალაქებს, ანგრევენ სამრეწველო საწარმოებსა და კულტურულ დაწესებულებებს. გერმანელთა ბოროტმოქმედებანი ფაშისტ დამპყრობთა სისუსტეს მოწმობენ, ვინაიდან ასე იქცევიან მხოლოდ მედროვენი, რომელთაც თვითონაც არა სწამთ თავიანთი გამარჯვება. და რაც უფრო უიმედო ხდება ჰიტლერელთა მდგომარეობა, მით უფრო მეტი მძვინვარებით ეწევიან ისინი მხეცობასა და ძარცვას. ჩვენი ხალხი არ აპატიებს ამ დანაშაულობებს გერმანელ მტარვალებს. ჩვენ ვაიძულებთ გერმანელ დამნაშავეებს პასუხი აგონ ყველა თავიანთი ბოროტმოქმედებისათვის! (ᲛᲫᲣᲮᲐᲠᲘ, ᲮᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲘ ᲢᲐᲨᲘ).

იმ რაიონებში, სადაც დროებით ბატონობდნენ ფაშისტი დამრბევნი, ჩვენ მოგვიხდება დანგრეული ქალაქებისა და სოფლების, მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, კულტურული დაწესებულებების აღდგენა, ფაშისტური მონობისაგან დახსნილი საბჭოთა ადამიანებისათვის ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნა. ახლავე მთელი ენერგიით არის გაშლილი მუშაობა მტრისაგან განთავისუფლებულ რაიონებში მეურნეობისა და კულტურის აღსადგენად. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. ჩვენ მოლიანად უნდა მოვახდინოთ გერმანელთა ბატონობის შედეგების ლიკვიდაცია იმ რაიონებში, რომლებიც განთავისუფლებულია გერმანელთა ოკუპაციისაგან. ეს დიდი, საყოველთაოსახალხო ამოცანაა. ჩვენ შეგვიძლია და კიდევაც უნდა გადავწყვიტოთ ეს დიდი და ძნელი ამოცანა მოკლე ვადაში.

3. ᲐᲜᲢᲘᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲐᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐ. ᲤᲐᲨᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲑᲚᲝᲙᲘᲡ ᲠᲦᲕᲔᲕᲐ

გასული წელი გარდატეხის წელი იყო არა მარტო საბჭოთა კავშირის სამამულო ომში, არამედ მთელ მსოფლიო ომშიც.

ცვლილებანი, რომლებიც ამ წლის მანძილზე მოხდა სამხედრო და საგარეო-პოლიტიკურ ვითარებაში, ხელსაყრელი იყო სსრ კავშირისა და მის მეგობრულ მოკავშირე სახელმწიფოთათვის, საზიანო იყო გერმანიისა და იაპონიის მის ევროპელ თანამზრახველთათვის.

წითელი არმიის გამარჯვებათა შედეგები შორს გასცილდა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის ფარგლებს; ამ შედეგებმა მსოფლიო ომის მთელი შემდგომი მიმდინარეობა შესცვალა და უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა მოიპოვა. საერთო მტერზე მოკავშირე ქვეყნების გამარჯვება მოახლოვდა, ხოლო მოკავშირეთა ურთიერთობა, მათი არმიების საბრძოლო მეგობრობა, მტრების მოლოდინის საწინააღმდეგოდ, არათუ არ შესუსტდა, არამედ, პირიქით, გაძლიერდა და განმტკიცდა. ამას მკერმეტყველურად მოწმობენ აგრეთვე საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა მოსკოვის კონფერენციის ისტორიული დადგენილებანი, რომლებიც გამოქვეყნებული იყო ამას წინათ პრესაში. ახლა ჩვენს გაერთიანებულ ქვეყნებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ერთობლივად დაარტყან მტერს, რაც შედეგად მოგვიტანს მასზე საბოლოო გამარჯვებას.

წელს წითელი არმიის დარტყმებს გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ ხელს უწყობდა ჩვენი მოკავშირეების საბრძოლო მოქმედება ჩრდილოეთ აფრიკაში, ხმელთაშუა ზღვის ბასეინში და სამხრეთ იტალიაში. ამასთან ერთად მოკავშირეები საფუძვლიანად ბომბავდნენ და კვლავ ბომბავენ გერმანიის მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრებს და ამით შესამჩნევად ასუსტებენ მტრის სამხედრო ძლიერებას. თუ ყოველივე ამას იმ ფაქტსაც დავუმატებთ, რომ მოკავშირეები რეგულარულად გვაწვდიან სხვადასხვა საჭურველსა და ნედლეულს, შეგვიძლია გაუზვიადებლად ვთქვათ, რომ მათ ყოველივე ამით მნიშვნელოვნად გააადვილეს ჩვენი ზაფხულის კამპანიის წარმატებანი. რასაკვირველია, ევროპაში მოკავშირეთა არმიების ახლანდელი მოქმედება ჯერ კიდევ არ შეიძლება მიჩნეულ იქნას მეორე ფრონტად. მაგრამ ეს მაინც რაღაც მეორე ფრონტის მსგავსია. ცხადია, რომ ევროპაში ნამდვილი მეორე ფრონტის გახსნა, რაც შორს არ არის, მნიშვნელოვნად დააჩქარებს ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვებას და კიდევ უფრო მეტად განამტკიცებს მოკავშირე სახელმწიფოთა საბრძოლო მეგობრობას.

ამრიგად, გასული წლის ამბები გვიჩვენებს, რომ ანტიჰიტლერული კოალიცია ხალხთა მტკიცე გაერთიანებას წარმოადგენს და მკვიდრ საძირკველზეა დამყარებული.

ახლა უკვე ყველასათვის აშკარაა, რომ ჰიტლერულმა ხროვამ, გააჩაღა რა ახლანდელი ომი, გამოუვალ ჩიხში მოაქცია გერმანია და მისი მაჩანჩალები. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ფაშისტთა ჯარების დამარცხებებმა და ჩვენი მოკავშირეების დარტყმებმა იტალია-გერმანიის ჯარების წინააღმდეგ შეარყიეს ფაშისტური ბლოკის მთელი შენობა და იგი ახლა ჩვენს თვალწინ ინგრევა.

იტალია სამუდამოდ გამოვარდა ჰიტლერული კოალიციიდან. მუსოლინის არაფრის შეცვლა არ შეუძლია, ვინაიდან ის არსებითად გერმანელთა ტყვეა. ჯერი მიმდგარია კოალიციის სხვა მონაწილეებზე. ფინეთმა, უნგრეთმა, რუმინეთმა და ჰიტლერის სხვა ვასალებმა, გერმანიის სამხედრო დამარცხებებით თავგზადაბნეულებმა, ახლა უკვე საბოლოოდ დაჰკარგეს იმის რწმენა, რომ ომი მათთვის ხელსაყრელად დამთავრდება, და ის აფიქრებთ, თუ როგორ დაიწყონ თავი იმ ჭაობს, სადაც ისინი ჰიტლერმა ჩაითრია. ძარცვაში ჰიტლერული გერმანიის თანამონაწილენი, რომლებიც ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ ერთგულნი იყვნენ თავიანთი ბატონპატრონისა, ახლა, როცა ყაჩაღობისათვის პასუხისმგებლობის დრო დადგა, ბუჩქებისაკენ იცქირებიან და მარჯვე მომენტს ირჩევენ, რომ შეუმჩნევლად გაძვრნენ ყაჩაღთა ხროვიდან. (ᲡᲘᲪᲘᲚᲘ).

ებმებოდნენ რა ომში, ჰიტლერული ბლოკის მონაწილენი სწრაფ გამარჯვებას ვარაუდობდნენ. მათ უკვე წინასწარ გაინაწილეს, თუ ვის რა ერგებოდა: ზოგს ქადა-ნაზუქი, ზოგს კი დაჟეჟვა და კოპები. (ᲡᲘᲪᲘᲚᲘ, ᲢᲐᲨᲘ). ცხადია, რომ დაჟეჟვასა და კოპებს ისინი თავიანთ მოწინააღმდეგეებს უმზადებდნენ, თავისთვის კი ქადა-ნაზუქს იტოვებდნენ. მაგრამ ახლა ცხადია, რომ გერმანიასა და მის ლაქიებს ქადა-ნაზუქი არ შეხვდებათ, რომ მათ ახლა მოუხდებათ ერთმანეთს შორის გაიყონ დაჟეჟვა და კოპები. (ᲡᲘᲪᲘᲚᲘ, ᲢᲐᲨᲘ).

ჰიტლერის თანამონაწილენი ითვალისწინებენ ამ არასახარბიელო პერსპექტივას და ახლა თავს იმტვრევენ იმაზე, თუ როგორ დაუძვრნენ ომს ისე, რომ ამასთან რაც შეიძლება ნაკლები დაჟეჟვა და კოპები ხვდეთ წილად. (ᲡᲘᲪᲘᲚᲘ).

იტალიის მაგალითი ჰიტლერის ვასალებს უჩვენებს, რომ რაც უფრო აჭიანურებენ ისინი გერმანელებთან კავშირის გარდუვალ გაწყვეტას და საშუალებას აძლევენ მათ იპარპაშონ მათს სახელმწიფოებში, მით უფრო მეტი გაჩანაგება მოელის მათს ქვეყნებს, მით უფრო მეტი ტანჯვის გადატანა მოუხდებათ მათს ხალხებს. იტალიის მაგალითი გვიჩვენებს აგრეთვე, რომ ჰიტლერული გერმანია არც კი ფიქრობს დაიცვას თავისი ვასალური ქვეყნები, არამედ განზრახვა აქვს გადააქციოს ისინი ამაოხრებელი ომის ასპარეზად, ოღონდ გადასწიოს საკუთარი განადგურების ჟამი.

გერმანიის ფაშიზმის საქმე წაგებულია, ხოლო მის მიერ შექმნილი სიხსლიანი „ახალი წესრიგი“ კრახისაკენ მიდის. ევროპის ოკუპირებულ ქვეყნებში იზრდება ფაშისტ დამმონებელთა წინააღმდეგ აღშფოთების საყოველთაო-სახალხო აფეთქება. სამუდამოდ გაჰქრა გერმანიის ყოფილი პრესტიჟი მის მოკავშირე და ნეიტრალურ ქვეყნებში, მოშლილია მისი ეკონომიური და პოლიტიკური კავშირურთიერთობა ნეიტრალურ სახელმწიფოებთან.

ის დრო, როცა ჰიტლერული ხროვა გერმანელთა მიერ მსოფლიო ბატონობის მოპოვებაზე ბაქიბუქობდა, შორს, უკან დარჩა. ახლა, როგორც ცნობილია, გერმანელებს მსოფლიო ბატონობისათვის აღარა სცხელათ—გასუქებას ვინღა სჩივის, ოღონდ გადავრჩეო. (ᲡᲘᲪᲘᲚᲘ, ᲢᲐᲨᲘ).

ამრიგად, ომის მსვლელობამ გვიჩვენა, რომ ფაშისტური სახელმწიფოების კავშირს არა ჰქონია და არა აქვს მტკიცე საფუძველი. ჰიტლერული კოალიცია მის მონაწილეთა მტაცებლური ყაჩაღური მისწრაფებების ბაზაზე შეიქმნა. სანამ ჰიტლერელებს სამხედრო წარმატებანი ჰქონდათ, ფაშისტური კოალიცია მტკიცე გაერთიანებად სჩანდა. მაგრამ ფაშისტთა ჯარების პირველმავე დამარცხებებმა გამოიწვიეს ყაჩაღური ბლოკის ფაქტიური დაშლა.

ჰიტლერული გერმანია და მისი ვასალები თავიანთი კატასტროფის წინაშე დგანან.

ჰიტლერულ გერმანიაზე მოკავშირე ქვეყნების გამარჯვება დღის წესრიგში დასვამს ევროპის ხალხთა სახელმწიფოებრივი, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ორგანიზაციისა და აღდგენის დიდმნიშვნელოვან საკითხებს. ამ საკითხებში ჩვენი მთავრობის პოლიტიკა უცვლელი რჩება. ჩვენს მოკავშირეებთან ერთად ჩვენ:

1) უნდა გავათავისუფლოთ ფაშისტ დამპყრობლებისაგან ევროპის ხალხები და ხელი შევუწყოთ მათ ფაშისტ დამმონებელთა მიერ დანაწევრებულ თავიანთ ნაციონალურ სახელმწიფოთა აღდგენაში,—საფრანგეთის, ბელგიის, იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, საბერძნეთისა და სხვა სახელმწიფოთა ხალხები, რომლებიც კი გერმანელთა უღელქვეშ იმყოფებიან, კვლავ თავისუფალნი და დამოუკიდებელნი უნდა გახდნენ;

2) უნდა მივანიჭოთ ევროპის განთავისუფლებულ ხალხებს სრული უფლება და თავისუფლება თვითონ გადასწყვიტონ თავიანთი სახელმწიფო წყობილების საკითხი;

3) ზომები უნდა მივიღოთ იმისათვის, რომ ყველა ფაშისტი დამნაშავენი, ვისაც ბრალი მიუძღვის ახლანდელ ომში და ხალხთა ტანჯვაში, რა ქვეყანაშიც უნდა იმალებოდნენ ისინი, სასტიკად დაისაჯონ და მისაზღვეველი მიიღონ მათ მიერ ჩადენილი ყველა ბოროტმოქმედებისათვის;

4) უნდა დავამყაროთ ევროპაში ისეთი წესრიგი, რომელიც სრულიად გამორიცხავდეს გერმანიის მხრივ ახალი აგრესიის შესაძლებლობას;

5) უნდა შევქმნათ ევროპის ხალხთა ხანგრძლივი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული თანამშრომლობა, რომელიც დამყარებული იქნება ურთიერთნდობასა და ურთიერთდახმარებაზე, რათა აღდგენილ იქნას გერმანელთა მიერ დანგრეული მეურნეობა და კულტურა.

* * *

წითელმა არმიამ და საბჭოთა ხალხმა გასული წლის მანძილზე დიდ წარმატებებს მიაღწიეს გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ომში ჩვენ მივაღწიეთ ძირფესვიან გარდატეხას ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ და ახლა ომი საბოლოო დასასრულს უახლოვდება. მაგრამ საბჭოთა ადამიანებს არ შეჰფერით მიღწეულით დაკმაყოფილება, თავიანთი წარმატებებით დატკბობა. გამარჯვება შეიძლება ხელიდან გავუშვათ, თუ ჩვენს რიგებში თვითდამშვიდებამ იჩინა თავი. გამარჯვებას უბრძოლველად და დაუძაბავად ვერ მოიპოვებ. მისი მოპოვება ბრძოლით ხდება. ახლა გამარჯვება ახლოა, მაგრამ მის მოსაპოვებლად საჭიროა ძალთა ახალი დაძაბვა, მთელი ზურგის თავდადებული მუშაობა, წითელი არმიის მარჯვე და გაბედული მოქმედება ფრონტზე. დანაშაული იქნება სამშობლოს წინაშე, საბჭოთა ადამიანების წინაშე, რომელნიც დროებით მოექცნენ ფაშისტთა უღელქვეშ, ევროპის ხალხთა წინაშე, რომელნიც გერმანელთა უღელქვეშ იტანჯებიან, ყველა შესაძლებლობა რომ არ გამოვიყენოთ მტრის განადგურების დასაჩქარებლად. არ უნდა მივცეთ მტერს შესვენების საშუალება. აი ამიტომ მთელი ჩვენი ძალღონე უნდა დავძაბოთ, რათა საბოლოოდ გავანადგუროთ მტერი.

საბჭოთა ხალხი და წითელი არმია ნათლად ხედავენ მომავალი ბრძოლის სიძნელეებს. მაგრამ ახლა უკვე ცხადია, რომ ჩვენი გამარჯვების დღე ახლოვდება. ომი იმ სტადიაში შევიდა, როცა საქმე ეხება საბჭოთა მიწა-წყლიდან ოკუპანტების სრულ განდევნას და ევროპაში ფაშისტური „ახალი წესრიგის“ ლიკვიდაციას. შორს არ არის ის ჟამი, როცა ჩვენ დავამთავრებთ უკრაინისა და ბელორუსიის, ლენინგრადისა და კალინინის ოლქების გაწმენდას მტრისაგან, გავათავისუფლებთ გერმანელ დამპყრობთაგან ყირიმის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, მოლდავეთისა და კარელია-ფინეთის რესპუბლიკათა ხალხებს.

ამხანაგებო!

ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის საბრძოლო კავშირის გამარჯვებისათვის! (ᲢᲐᲨᲘ).

ფაშისტური უღლისაგან ევროპის ხალხთა განთავისუფლებისათვის! (ᲢᲐᲨᲘ).

ჩვენი მიწა-წყლიდან გერმანელ მტარვალთა სრული განდევნისათვის! (ᲢᲐᲨᲘ).

გაუმარჯოს ჩვენს წითელ არმიას! (ᲢᲐᲨᲘ).

გაუმარჯოს ჩვენს სამხედრო-საზღვაო ფლოტს! (ᲢᲐᲨᲘ).

გაუმარჯოს ჩვენს მამაც პარტიზანებსა და პარტიზან ქალებს! (ᲢᲐᲨᲘ).

გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს! (ᲢᲐᲨᲘ).

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს! (ᲛᲫᲣᲮᲐᲠᲘ, ᲮᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲘ ᲢᲐᲨᲘ. ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ ᲤᲔᲮᲖᲔ ᲐᲓᲒᲔᲑᲘᲐᲜ. ᲗᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲐᲠᲒᲘᲡᲐᲖᲘ ᲠᲘᲕᲐᲪᲘᲐᲡ ᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ).

ᲚᲔ. Მ. ᲙᲐᲒᲐᲜᲝᲕᲘᲩᲘ

Ბ. Ნ. ᲐᲠᲣᲗᲘᲜᲝᲕᲘ



Გ. Ს. ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲔ

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲜᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲐ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲤᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲗᲐ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲘᲒᲘᲗᲘ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲡᲐᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲝ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡᲐ, ᲝᲤᲘᲪᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲘᲒᲘᲗᲘ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 5 ნოემბრის ბრძანებულებით ფრონტისა და სახალხო მეურნეობისათვის ტვირთზიდვის უზრუნველყოფის საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისათვის და ომიანობის დროის ძნელ პირობებში რკინიგზის მეურნეობის აღდგენის საქმეში თვალსაჩინო მიღწევებისათვის **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება მიენიჭათ და **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ურო“** გადაეცათ:

გზათა სახალხო კომისარს **ლ. მ. კაგანოვიჩს**, გზათა სახალხო კომისრის მოადგილეს **ბ. ნ. არუთინოვს**, გზათა სახალხო კომისრის მოადგილეს **გ. ვ. კოვალიოვს**, სევერნი დონეცის რკინიგზის უფროსს **პ. ფ. კრივონოსს**, ნოვოსიბირსკის დეპოს ორთქლმავლის მემანქანეს **ნ. ა. ლუნინს**, ამიერ-კავკასიის რკინიგზის უფროსს **გ. ს. კიკნაძეს**, თბილისის საორთქლმავლო დეპოს მემანქანეებს **ნ. ვ. გელაძეს**, **შ. ფ. კოხრეიძეს**, **ა. ვ. წიკლაურს** და სხვებს—სულ 127 კაცს.

(საკვლესი).

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡᲐᲠᲓᲚᲘᲡᲐ

ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ ᲕᲐᲒᲣᲨᲘᲜᲡ

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ 1-ᲚᲘ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ჯარებმა, სწრაფად განხორციელებული ოპერაციის შედეგად, გაბედული შემოვლითი მანევრით, დღეს, 6 ნოემბერს, განთიადისას, იერიშით დაიკავეს საბჭოთა უკრაინის დედაქალაქი **ᲙᲘᲔᲕᲘ**—უდიდესი სამრეწველო ცენტრი და გერმანელთა თავდაცვის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული კვანძი **ᲓᲜᲔᲞᲠᲘᲡ** მარჯვენა ნაპირზე.

ᲙᲘᲔᲕᲘᲡ აღებით ჩვენმა ჯარებმა **ᲓᲜᲔᲞᲠᲘᲡ** მარჯვენა ნაპირზე ხელთ იგდეს უმნიშვნელოვანესი და უაღრესად ხელსაყრელი პლაცდარმი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს დნეპრის მარჯვენა ნაპირის უკრაინიდან გერმანელთა განდევნისათვის.

ქალაქ **ᲙᲘᲔᲕᲘᲡ** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში თავი ისახელეს გენერალ-პოლკოვნიკ **ᲛᲝᲡᲙᲐᲚᲔᲜᲙᲝᲡ**, გენერალ-ლეიტენანტ **ᲩᲔᲠᲜᲘᲐᲮᲝᲕᲡᲙᲘᲡ** ჯარებმა, გენერალ-ლეიტენანტ **ᲠᲘᲑᲐᲚᲙᲝᲡ** ტანკისტებმა, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **ᲙᲠᲐᲡᲝᲕᲡᲙᲘᲡ** მფრინავებმა და არტილერიის გენერალ-მაიორ **ᲙᲝᲠᲜᲔᲚᲙᲝᲕᲘᲡ** არტილერისტებმა.

განსაკუთრებით ისახელეს თავი:

გენერალ-მაიორ **ᲛᲔᲚᲔᲜᲘᲙᲝᲕᲘᲡ** სუმის 167-ე ორგზის წითელდროშოვანმა მსროლელმა დივიზიამ, გენერალ-მაიორ **ᲣᲚᲘᲢᲘᲜᲘᲡ** სუმის 232-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **ᲖᲣᲑᲐᲠᲔᲕᲘᲡ** სუმის 340-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **ᲙᲐᲠᲚᲝᲕᲘᲡ** რომნის 163-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **ᲣᲛᲐᲜᲡᲙᲘᲡ** 240-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **ᲞᲣᲖᲘᲙᲝᲕᲘᲡ** 136-ე მსროლელმა დივიზიამ, გენერალ-მაიორ **ᲨᲛᲔᲚᲔᲕᲘᲡ** 180-ე მსროლელმა დივიზიამ, სსრ კავშირში არსებულმა პოლკოვნიკ **ᲡᲕᲝᲑᲝᲓᲐᲡ** ჩეხოსლოვაკთა 1-ლმა ცალკეულმა ბრიგადამ, პოლკოვნიკ **ᲙᲣᲖᲜᲔᲪᲝᲕᲘᲡ** 74-ე მსროლელმა დივიზიამ, პოდპოლკოვნიკ **ᲨᲩᲔᲠᲑᲐᲙᲝᲕᲘᲡ** 23-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **ᲘᲐᲜᲘᲪᲙᲘᲡᲘᲡ** 30-ე მსროლელმა დივიზიამ, გენერალ-მაიორ **ᲡᲙᲚᲘᲐᲠᲝᲕᲘᲡ** 218-ე მსროლელმა დივიზიამ, გენერალ-მაიორ **ᲚᲐᲓᲘᲒᲘᲜᲘᲡ** რილსკის 121-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **ᲠᲐᲡᲚᲐᲜᲓᲜᲘᲙᲝᲕᲘᲡ** 141-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **ᲞᲔᲢᲠᲔᲜᲙᲝᲡ** გლუხოვის 226-ე მსროლელმა დივიზიამ, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **ᲙᲠᲐᲕᲩᲔᲜᲙᲝᲡ** სტალინგრადის გვარდიის მე-5 სატანკო კორპუსმა, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **ᲠᲐᲜᲒᲘᲚᲝᲕᲘᲡ** გვარდიის მე-6 სატანკო კორპუსმა, გენერალ-მაიორ **ᲡᲣᲚᲔᲘᲙᲝᲕᲘᲡ** გვარდიის მე-7 სატანკო კორპუსმა, პოლკოვნიკ **ᲕᲔᲢᲠᲣᲙᲘᲡ** ვორონეჟის 291-ე საიერიშო საავიაციო დივიზიამ, პოლკოვნიკ **ᲜᲔᲩᲘᲞᲣᲠᲔᲜᲙᲝᲡ** შუა-დონის 202-ე ბომბდამშენმა საავიაციო დივიზიამ, ავიაციის გენერალ-მაიორ **ᲑᲐᲘᲓᲣᲙᲝᲕᲘᲡ** გვარდიის მე-4 საიერიშო საავიაციო დივიზიამ, პოდპოლკოვნიკ **ᲙᲚᲝᲒᲣᲙᲝᲕᲘᲡ** 264-ე საიერიშო საავიაციო დივიზიამ, პოლკოვნიკ **ᲒᲔᲠᲐᲡᲘᲛᲝᲕᲘᲡ** 256-ე გამანადგურებელმა საავიაციო დივიზიამ, პოდპოლკოვნიკ **ᲩᲣᲑᲘᲙᲝᲕᲘᲡ** გვარდიის მე-8 წითელდროშოვანმა გამანადგურებელმა საავიაციო დივიზიამ, პოლკოვნიკ **ᲘᲣᲖᲔᲔᲕᲘᲡ** 208-ე წითელდროშოვანმა ღამის ახლო-ბომბდამშენმა საავიაციო დივიზიამ, პოლკოვნიკ **ᲡᲠᲘᲕᲙᲘᲜᲘᲡ** სტალინგრადის გვარდიის მე-10 გამანადგურებელმა საავიაციო დივიზიამ, ავიაციის გენერალ-მაიორ **ᲚᲐᲙᲔᲔᲕᲘᲡ** სტალინგრადის 235-ე გამანადგურებელმა საავიაციო დივიზიამ, არტილერიის გენერალ-მაიორ **ᲕᲝᲚᲙᲘᲜᲨᲢᲔᲘᲜᲘᲡ** მე-17 საარტილერიო დივიზიამ, არტილერიის გენერალ-მაიორ **ᲙᲠᲐᲡᲜᲝᲙᲣᲢᲡᲙᲘᲡ** მე-13 საარტილერიო დივიზიამ, პოლკოვნიკ **ᲙᲝᲚᲔᲡᲜᲘᲙᲝᲕᲘᲡ** გვარდიის მე-3 ნაღმტყორცნელმა დივიზიამ, პოდპოლკოვნიკ **ᲪᲔᲡᲐᲠᲘᲡ** გვარდიის 112-ე წითელდროშოვანმა ზარბაზნის საარტილერიო პოლკმა, მაიორ **ᲢᲔᲢᲔᲠᲘᲜᲘᲡ** 805-ე ჰაუბიცის საარტილერიო პოლკმა, პოდპოლკოვნიკ **ᲩᲘᲡᲢᲘᲐᲙᲝᲕᲘᲡ** 839-ე ჰაუბიცის საარტილერიო პოლკმა, პოდპოლკოვნიკ **ᲜᲔᲛᲝᲕᲘᲡ** მე-12 ცალკეულმა ნაღმტყორცნელმა ბრიგადამ, პოდპოლკოვნიკ **ᲩᲘᲠᲜᲝᲕᲘᲡ** გვარდიის მე-9 გამანადგურებელმა ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო ბრიგადამ, მაიორ **ᲠᲚᲐᲮᲣᲜᲝᲕᲘᲡ** 491-ე ნაღმტყორცნელმა პოლკმა, მაიორ **ᲑᲚᲣᲨᲩᲔᲜᲙᲝᲡ** 492-ე ნაღმტყორცნელმა პოლკმა, მაიორ **ᲙᲝᲚᲓᲘᲐᲙᲝᲕᲘᲡ** 222-ე გამანადგურებელმა ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკმა, პოდპოლკოვნიკ **ᲙᲝᲠᲝᲜᲖᲘᲜᲘᲡ** გვარდიის 316-ე გამანადგურებელმა ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკმა, მაიორ **ᲩᲔᲮᲘᲡ** 868-ე წითელდროშოვანმა გამანადგურებელმა ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკმა, მაიორ **ᲑᲔᲠᲔᲖᲘᲜᲘᲡ** 1666-ე გამანადგურებელმა ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკმა, მაიორ **ᲐᲜᲓᲠᲔᲔᲕᲘᲡ** 1075-ე გამანადგურებელმა ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკმა, პოდპოლკოვნიკ **ᲞᲝᲜᲝᲛᲐᲠᲪᲔᲕᲘᲡ** გვარდიის მე 4 წითელდროშოვანმა გამანადგურებელმა ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკმა, პოლკოვნიკ **ᲑᲠᲐᲖᲒᲝᲚᲓᲘᲡ** გვარდიის ზარბაზნის 24-ე საარტილერიო ბრიგადამ, კაპიტან **ᲠᲐᲡᲢᲝᲠ�გᲣᲔᲕᲘᲡ** 60-ე ცალკეულმა მაკორექტირებელმა საავიაციო ესკადრილიამ, კაპიტან **ᲑᲐᲠᲘᲜᲝᲕᲘᲡ** 811-ე ცალკეულმა მზვერავმა საარტილერიო დივიზიონმა, პოლკოვნიკ **ᲔᲛᲔᲚᲘᲐᲜᲝᲕᲘ

ვ. ი. ლენინი და ი. ვ. სტალინი (სურათი გადაღებულია პარტიის VIII ყრილობის დროს 1919 წლის მარტში).

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა

1943 წ. 7 ნოემბერი № 309 ქ. მოსკოვი

ამხანაგო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, სერჟანტებო, ოფიცრებო და გენერლებო, პარტიზანებო და პარტიზანო ქალებო! საბჭოთა კავშირის მშრომელნო!

საბჭოთა მთავრობისა და ჩვენი ბოლშევიკური პარტიის სახელით მოგესალმებით და მოგილოცავთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავს.

ჩვენი დიდი სოციალისტური რევოლუციის ოცდამეექვსე წლისთავს ჩვენ ვდღესასწაულობთ ჩვენი სამშობლოს მტრებზე წითელი არმიის სახელოვან გამარჯვებათა დღეებში.

უკვე ორ წელიწადზე მეტი ხანია, რაც ჩვენი ხალხი განმათავისუფლებელ ომს ეწევა გერმანელ ფაშისტ დამმონებელთა წინააღმდეგ. ერთი წლის წინათ ჩვენი სამშობლო მძიმე დღეებს განიცდიდა. იმ დროისათვის მტერმა დიდი ტერიტორია წაგვართვა. მილიონობით საბჭოთა ადამიანები გერმანელთა მონობაში იტანჯებოდნენ. მტრის ურდოები ვოლგისაკენ მოიწევდნენ, რომ მოსკოვისათვის შემოევლოთ აღმოსავლეთიდან, გარს ერტყმოდნენ ამიერ-კავკასიის მისადგომებს. მაგრამ წითელმა არმიამ თავისი მკერდით გადაუღობა გზა მტერს. ჩვენმა ჯარებმა შეაჩერეს უცხოელთა უაჩაღური ურდოები, ხოლო შემდეგ სტალინგრადთან დაამარცხეს ისინი და სწრაფად გარეკეს დასავლეთისაკენ. მას შემდეგ წითელ არმიას განუწყვეტლივ უჭირავს ხელთ საინიციატივო.

1942-43 წ. წ. ზამთარში ჩვენმა სახელოვანმა ჯარებმა დაამარცხეს გერმანელთა, იტალიელთა, რუმინელთა და უნგრელთა რჩეული არმიები, დახოცეს და დაატყვევეს მტრის მილიონზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი და გაათავისუფლეს უზარმაზარი ტერიტორია—ნახევარ მილიონ კვადრატულ კილომეტრამდე ფართობი.

1943 წლის ზაფხულში წითელმა არმიამ ახალი გამანადგურებელი დარტყმა აგემა მტერს. ჩვენმა ჯარებმა რამდენიმე დღის განმავლობაში მოახდინეს გერმანელთა ზაფხულის შემოტევის ლიკვიდაცია და ამით დაასამარეს ჰიტლერელთა გეგმა—განადგურებინათ წითელი არმიის ძირითადი ძალები და მოსკოვისათვის შემოევლოთ ორიოლ-კურსკის მხრიდან.

უფრო მეტიც. წითელი არმია თვითონ გადავიდა გადამწყვეტ შეტევაზე, გასტეხა მოწინააღმდეგის მძლავრი თავდაცვითი ზოლები და სამი თვის განმავლობაში უკუაგდო იგი დასავლეთისაკენ, ზოგან 400-450 კილომეტრით. ზაფხულის კამპანიის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა მტერი განდევნეს დნეპრის მარცხენა ნაპირის უკრაინიდან, დონბასიდან, ტამანიდან, ორლოვშჩინიდან, სმოლენშჩინიდან, შევიდნენ დნეპრის მარჯვენა ნაპირის უკრაინაში, დაიკავეს საბჭოთა უკრაინის დედაქალაქი კიევი, შევიდნენ ბელორუსიაში, დაიკავეს ყირიმის მისადგომები, გაათავისუფლეს 160-ზე მეტი ქალაქი და 38.000-ზე მეტი დასახლებული პუნქტი.

გასული წლის მანძილზე წითელმა არმიამ გერმანელებს წაართვა მათ მიერ წინათ დაპყრობილი ჩვენი მიწა-წყლის თითქმის ორი მესამედი და გერმანელთა უღლისაგან გაათავისუფლა ათეულმილიონობით საბჭოთა ადამიანები.

გასული წლის მანძილზე გერმანელებმა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე დაჰკარგეს 4 მილიონზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, მათ შორის სულ ცოტა 1.800.000 კაცი მოკლულთა სახით.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე სამარცხვინო აღსასრული ჰპოვეს გერმანელ ფაშისტთა არმიის რჩეულმა კადრის დივიზიებმა. მათთან ერთად სამუდამოდ დაიმარხა მსოფლიოს დაპყრობისა და ხალხთა დამონების ჰიტლერული გეგმები.

მართალია, გერმანიის არმია ახლაც შეუპოვრად იბრძვის, ყოველ ზღუდეს ებღაუჭება, მაგრამ იმ დამარცხებებმა, რომელნიც გერმანელებმა განიცადეს სტალინგრადთან მათი განადგურების შემდეგ, გერმანიის არმიის საბრძოლო ხულისკვეთება გასტეხეს. ახლა გერმანელებს ისე ეშინიათ გარშემორტყმისა, როგორც ცეცხლისა, და როცა ჩვენი ჯარების მიერ შემოვლის საფრთხე ისახება, თავიანთ ტექნიკასა და დაჭრილ ჯარისკაცებს სტოვებენ ბრძოლის ველზე და გარბიან.

გასული წლის შეტევითს ბრძოლებში ჩვენმა ჯარებმა თანამედროვე ომის წარმოების მდიდარი გამოცდილება შეიძინეს. ჩვენი ოფიცრები და გენერლები უნარიანად ხელმძღვანელობენ ჯარებს, წარმატებით ეუფლებიან ჯარების წინამძღოლობის ხელოვნებას. წითელი არმია ყველაზე უფრო მძლავრი და გამობრძმედილი თანამედროვე არმია გახდა.

წითელი არმიის გამარჯვებებმა კიდევ უფრო მეტად განამტკიცეს საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა. ჩვენი არმიის შეტევას ხელს უწყობდა მოკავშირეთა ჯარების საბრძოლო მოქმედება ჩრდილოეთ აფრიკაში, იტალიის კუნძულებზე და სამხრეთ იტალიაში. ჩვენი მოკავშირეების ავიაცია სერიოზულად ბომბავდა გერმანიის სამრეწველო ცენტრებს. ეჭვი არ არის, რომ გერმანიის ჯარების წინააღმდეგ წითელი არმიის დარტყმები აღმოსავლეთიდან, რასაც ხელს შეუწყობს მოკავშირეთა ძირითადი ძალების დარტყმები დასავლეთიდან, გამოიწვევენ ჰიტლერული გერმანიის სამხედრო ძლიერების განადგურებას და ანტიჰიტლერული კოალიციის სრულ გამარჯვებას.

წითელი არმია ამა წლის დიად გამარჯვებებს ვერ მოიპოვებდა, ფრონტისადმი საყოველთაო-სახალხო დახმარება რომ არ ყოფილიყო. საბჭოთა ხალხი მთელ ძალებს ანდომებს თავისი არმიისადმი დახმარებას. დაუსრულებელ ნაკადად მიედინება ფრონტისაკენ იარაღი, საომარი მასალები, სურსათი, საჭურველი. ურალი და კუზბასი, მოსკოვი და ვოლგისპირეთი, ლენინგრადი და ბაქო, უაზახეთი და უზბეკეთი, საქართველო და სომხეთი, ყველა ჩვენი რესპუბლიკა და ოლქი წითელი არმიის მძლავრი არსენალი გახდა. საბჭოთა ხალხი წარმატებით ეწევა მტრისაგან ბრძოლით დაბრუნებული სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო რაიონების აღდგენას, მწყობრში შეჰყავს ფაბრიკები, ქარხნები, შახტები და რკინიგზები, ეწევა საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების აღდგენას, ფრონტისადმი სამსახურის გასაწევად მიმართავს განთავისუფლებული რაიონების რესურსებს.

ჩვენი წარმატებანი მართლაც დიდია. მაგრამ გულუბრყვილობა იქნებოდა მიღწეული წარმატებებით დავმშვიდებულიყავით. ახლა, როცა წითელი არმია ურტყამს მტერს დნეპრს გაღმა და გზას იკაფავს ჩვენი ქვეყნის დასავლეთი საზღვრებისაკენ, განსაკუთრებით საშიში იქნებოდა თავი მიგვეცა უდარდელობისათვის, თვითდამშვიდებისათვის და საათანადოდ არ შეგვფასებინა მომავალი ბრძოლის სერიოზული სიძნელენი. ახლა მტერი განსაკუთრებული გაოფთრებით იბრძოლებს მის მიერ ხელში ჩაგდებული თითოეული ჯეერი ტერიტორიისათვის, ვინაიდან ჩვენი არმიის მიერ წინ გადადგმული ყოველი ნაბიჯი აახლოებს ჟამს, როცა გერმანელებს სამაგიერო მიეზღვევათ მათ მიერ ჩვენს მიწა-წყალზე ჩადენილ ბოროტმოქმედებათათვის.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე საბოლოო გამარჯვებისათვის ბრძოლა არმიისა და ხალხისაგან კიდევ დიდ ღონისძიებებსა და ახალ საგმირო საქმეებს მოითხოვს.

ამხანაგო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, სერჟანტებო, ოფიცრებო და გენერლებო, პარტიზანებო და პარტიზანო ქალებო!

მოსისხლე მტერთან დიდ ბრძოლებში თქვენ დიდი გამარჯვებანი მოიპოვეთ და წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის საბრძოლო დროშები უჭკნობი დიდებით შემოსეთ. წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს ახლა ყველა შესაძლებლობა აქვთ იმისათვის, რომ უახლოეს დროში სავსებით გასწმინდონ საბჭოთა მიწა-წყალი გერმანელი დამპყრობლებისაგან.

გერმანელ ფაშისტ მტარვალებზე ჩვენი სამშობლოს გამარჯვებისათვის **ვბრძანებ:**

1. მთელმა რიგითმა და სერჟანტთა შემადგენლობამ დაუცხრომლად სრულჰყოს თავისი საბრძოლო ოსტატობა, უსასტიკესად შეასრულოს წესდებათა და დარიგებათა მოთხოვნები, მეთაურთა და უფროსთა ბრძანებები, ყველგან და ყოველთვის დაიცვას სანიმუშო წესრიგი, მტკიცე დისციპლინა და მაღალი ორგანიზებულობა.

2. ყველა გვარეობის ჯარების ოფიცრებმა და გენერლებმა სრულჰყონ ჯარების მართვა ბრძოლის ველზე და ყველა გვარეობის ჯარების თანამოქმედება, მკვიდრად განამტკიცონ შეტევის წარმატებანი, მძაფრად სდიონ მოწინააღმდეგის ჯარებს, უფრო სწრაფად მიიახლოონ ზურგი, უფრო გაბედულად გამოიყენონ რეზერვები ახალი დარტყმებისათვის.

3. მთელმა წითელმა არმიამ გაბედულად და გადაჭრით ამსხვრიოს მტრის თავდაცვა, დღედაღამ სდიოს მტერს, არ მისცეს მას საშუალება გამაგრდეს შუალედ ზღუდეებზე, ოსტატური და გაბედული მანევრით გადასჭრას მტრის კომუნიკაციები, გარს შემოერტყას მის ჯარებს და დააჭუცმაცოს ისინი, მოსპოს და ხელში ჩაიგდოს მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალა და ტექნიკა.

4. პარტიზანებმა და პარტიზანმა ქალებმა ფეხზე დააყენონ საბჭოთა ადამიანები გერმანელთა წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლისათვის, ყოველნაირად გააძლიერონ შემტევი წითელი არმიისადმი დახმარება, ანადგურონ მტრის ზურგი და შტაბები, გადაარჩინონ საბჭოთა ადამიანები გაულეტას და გერმანიის კატორღაში გარეკას, ულმობლად მოსპონ გერმანელი ფაშისტი არამზადები!

წითელი არმიის მეომრებო, პარტიზანებო და პარტიზანო ქალებო! წინ, გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა სრული განადგურებისათვის!

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავს!

გაუმარჯოს ჩვენს ძლევამოსილ წითელ არმიას!

გაუმარჯოს ჩვენს ძლევამოსილ სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს ჩვენს მამაც პარტიზანებსა და პარტიზან ქალებს!

გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს!

შურისგება და სიკვდილი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთ!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

ილო მოსაშვილი

კიევს

შენს მიწას ისევ ფეზე დაჰკაშკაშებს,
ცასაც დრუშების ფეზე ეკიდება,
კიევო, შენთვის მებრძოლ ვაჟკაცებს
მარად ხსოვნა და მარად დიდება!

მარად დიდება, წინ — გზა გმირული,
ვინც აზღვევინა სისხლი ჯალათებს,
მათ შენი ცრემლით პირ-დაპირული
შენს კალთებს ხელები შეეოანათეს!

ისევ ჩვენი ხარ! მოსისხლე მტერთან
ბრძოლაშიც ისევ ხელშემართული
და შენს მრისხანე მახვილთან ერთად
დნეპრზე გაჰკივის ხმალიც ქართული.

დაჰკარ! — მოგძახის... აქედან ვხედავ,
რომ მტრის ბუნაგი ცეცხლით გაკვალო, —
შენ — უძრაკინის ჯალარა დედავ
და ბოლოს ხალხის ზვიადა ბაკვანე!

მოსკოვი. კრემლი

დიდ მარშალს ამხანაგ სტალინს

ჩვენო მშობლიურო იოსებ ბესარიონის-ძეო!

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავის დღეს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს საზეიმო სხდომა ქალაქ თბილისის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტივთან და სამხედრო ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად თავის მგზნებარე, გულითად სალამს გიძღვნით თქვენ, ბრძენ ბელადს, საყვარელ მასწავლებელსა და დიდ მხედართმთავარს.

ოცდაექვსი წლის წინათ თქვენ, როგორც უკვდავი **ლენინის** უახლოესი თანამებრძოლი, **ლენინთან** ერთად ხელმძღვანელობდით დიად ბრძოლას ჩვენს ქვეყანაში იმპერიალისტთა და მემამულეთა ძალაუფლების დამხობისათვის და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, რომელმაც მთელი მსოფლიოს ხალხთა შორის მშვიდობა გამოაცხადა.

როგორც უკვდავი **ლენინის** უახლოესი თანამებრძოლი და მეგობარი, თქვენ **ლენინთან** ერთად ხელმძღვანელობდით საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას და ახალგაზრდა სოციალისტური რესპუბლიკის დაცვას შინაგანი კონტრრევოლუციისა და იმპერიალისტი მტაცებლების შემოტევისაგან.

თქვენი ბრძნული ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის ხალხებმა მოკლე ისტორიულ ვადაში შეჰქმნეს ჩამორჩენილი ქვეყნისაგან მძლავრი სოციალისტური სახელმწიფო.

მხოლოდ თქვენს გენიალურ შორსმჭვრეტელობას უნდა უმადლოდნენ ჩვენი სამშობლოს ხალხები იმის, რომ საზიზღარმა და ვერაგმა მტერმა თავიანთ საშინელი სამხედრო მანქანით ჩვენს ქვეყანას მოუმზადებელს ვერ მოუსწრო და წააწყდა მძლავრ წინააღმდეგობას საბჭოთა ხალხის მხრივ, რომელიც მჭიდროდ დარაზმულია ბოლშევიკური პარტიის გარშემო, თქვენი, როგორც თავისი საყვარელი ბელადის, გარშემო. თქვენ მიერ მზრუნველობით აღზრდილმა სახელოვანმა წითელმა არმიამ არა მარტო გაუძღო ჰიტლერის მექანიზებული ურდოების გაშმაგებულ შემოტევას, არამედ მალე გამანადგურებელი დარტყმებითაც უპასუხა მათ და გაჰფანტა მითი ნაქები გერმანულ-ფაშისტური არმიის უძლეველობის შესახებ.

დღეს ჩვენ აღვნიშნავთ დიდი ოქტომბრის XXVI წლისთავს გმირი წითელი არმიის სახელოვან გამარჯვებათა ვითარებაში, წითელი არმიის, რომელიც შეუკავებლად მიერეკება დასავლეთისაკენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს, ანადგურებს და სპობს მათ.

ერთი წლის წინათ ბრძოლა ვოლგაზე სწარმოებდა, ახლა ბრძოლა სწარმოებს დნეპრზე და დნეპრს გაღმა. ასეულათასობით კვადრატული კილომეტრი წმიდათა-წმიდა საბჭოთა მიწა-წყალი გაწმენდილია ჰიტლერული სიბილწისაგან. მილიონობით საბჭოთა მოქალაქენი განთავისუფლებული არიან ფაშისტური უღლისაგან და მათ კვლავ ჰპოვეს თავისუფალი საბჭოთა ცხოვრება — ასეთია ის უდიდესი და სახელოვანი გზა, რომელიც განვლო წითელმა არმიამ გაოფთრებული ბრძოლების ცეცხლში.

წითელი არმიის დიდი ისტორიული გამარჯვებანი, რომლებმაც იხსნეს ჩვენი ქვეყანა და მთელი ცივილიზებული კაცობრიობა სასიკვდილო საფრთხისაგან, მოპოვებულია თქვენი მხედართმთავრული გენიის მეოხებით, თქვენი უმაღლესი სარდლობით.

წითელი არმია იმარჯვებს და საბოლოოდ გაიმარჯვებს იმიტომ, რომ იგი მთლიანად, რიგითი მებრძოლებიდან გენერლებამდე, გამსჭვალულია მხურვალე სიყვარულით თავისი სამშობლოსადმი და მძაფრი სიძულვილით გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისადმი.

ასრულებს რა თქვენს ისტორიულ მითითებებს, იგი სულ უფრო და უფრო წარმატებით, უფრო და უფრო ღრმად ეუფლება გამარჯვების სტალინურ მეცნიერებას.

წითელი არმია ძლიერია თავისი ერთიანობით საბჭოთა ზურგთან, რომელიც თქვენი მოწოდებით გადაიქცა ერთიან მებრძოლ ბანაკად, ფრონტს რომ უზრუნველჰყოფს ყოველივე იმით, რაც საჭიროა მტრის სრული განადგურებისათვის.

ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხები, დიადი სტალინური მეგობრობით გაერთიანებულნი, თავდადებულად შრომობენ წითელი არმიის დასახმარებლად, არაფერს იშურებენ იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას სრული გამარჯვება მტერზე.

საქართველოს ათასობით შვილებმა უჭკნობი სახელი მოიხვეჭეს მრავალრიცხოვან ბრძოლებში ჩვენი სამშობლოსათვის.

ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ბევრმა მათგანმა საგმირო საქმეები ჩაიდინა ახლანდელ ბრძოლებში დნეპრისათვის, ფირსფოროვ განგგრძობს და ანვითარებს რა ქართველი ხალხის სახელოვან ისტორიულ მხედრულ ტრადიციებს.

საქართველოს მთელი სახალხო მეურნეობა, სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნილი, მუშაობს ფრონტის დასახმარებლად, განუწყვეტლივ ზრდის საბრძოლო ტექნიკის, მრავალგვარი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოშვებას.

დღეს, დიდი ოქტომბრის XXVI წლისთავის საზეიმო დღეს, გეფიცებით თქვენ, ამხანაგო **სტალინ**, რომ საბჭოთა საქართველოს დახმარება ფრონტისადმი კიდევ უფრო გაფართოვდება და იმატებს, რომ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა მთლიანად გამოვიყენოთ ჩვენი მრეწველობის, ჩვენი სოფლის მეურნეობის შესაძლებლობანი და რესურსები, რომ წითელი არმიის ისტორიულ გამარჯვებებს საბჭოთა საქართველოს მშრომელნი აღნიშნავენ ახალი სასახელო პატრიოტული საქმეებით.

ჩვენ ვიცით, რომ კიდევ მოგველის დიდი ბრძოლები, ბევრი სიძნელე და განსაცდელი. მაგრამ ამ სიძნელეებსა და განსაცდელს საბჭოთა ხალხი ღირსეულად გადალახავს და დასძლევს. ამის საწინდარია თქვენი ბრძნული ხელმძღვანელობა და სსრ კავშირის ხალხთა შეუდრეკელი ნებისყოფა — საბოლოოდ გაანადგურონ და მოსპონ საძულველი გერმანელი ფაშისტი დამპყრობნი და სწრაფად მოიშუშონ ის მძიმე ჭრილობები, რომლებიც ჩვენს აყვავებულ სამშობლოს ჰიტლერელთა ურდოებმა მიაყენეს.

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

გაუმარჯოს გერმანელ წითელ არმიას, მის გენერლებს, ოფიცრებს, მებრძოლებს!

გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს, მის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას!

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვან და ძლევამოსილ დროშას!

გაუმარჯოს **ლენინ-სტალინის** პარტიას — გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვებისათვის ბრძოლის სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

გაუმარჯოს ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს, უმაღლეს მთავარსარდალს საბჭოთა კავშირის დიდ მარშალს — ჩვენს მშობლიურ და საყვარელ **სტალინს!**

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვს

ძვირფასო ვიაჩესლავ მიხეილის-ძეო!

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს საზეიმო სხდომა პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტივთან და სამხედრო ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავისადმი, გულითად სალამს გიძღვნით თქვენ, დიდი რუსი ხალხის სახელოვან შვილს, დიდი **სტალინის** ერთგულ თანამებრძოლს.

მთელი საბჭოთა ხალხი ოქტომბრის XXVI წლისთავს აღნიშნავს წითელი არმიის ძლევამოსილი შეტევის სასახარულო დღეებში. დიდი ბრძოლა სწარმოებს დნეპრის მარჯვენა ნაპირზე.

ერთი წლის წინათ მტრის ურდოები სტალინგრადის კედლებთან იდგნენ, ამიერ-კავკასიის მისადგომებზე იყვნენ. სიმამაცითა და ბრძოლის ნებისყოფით აღსავსე საბჭოთა ხალხმა და წითელმა არმიამ მაშინ ფიცი დასდეს დაეცვათ ვოლგის ციხე-სიმაგრე, გაენადგურებინათ მტერი სტალინგრადის მისადგომებზე, არ მოეშვათ იგი კავკასიის გულთან.

ეს ფიცი შესრულებულია.

გერმანელთა ჯარების განადგურება სტალინგრადთან, ჩრდილოეთ კავკასიის, უუბანის გაწმენდა, მტრის უმნიშვნელოვანესი პლაცდარმების მოსპობა, გერმანელთა ზაფხულის შემოტევის ლიკვიდაცია და წითელი არმიის ძლევამოსილი შეტევა — ასეთია ბრძოლისა და დიად გამარჯვებათა ამ წლის ისტორიული მიჯნები.

მტაც�d და მამაცურად, დიდი რუსი ხალხის და სსრ კავშირის ყველა მოძმე ხალხთა შვილების მბარდამხარ, ებრძვიან მტერს საქართველოს შვილები.

ღირსეულად ასრულებენ თავის პატრიოტულ ვალს საქართველოს მშრომელნი ზურგში. წარმოების ყველა უბანზე თავდადებული შრომით ისინი დახმარებას უწევენ ფრონტს და თავისი წვლილი შეაქვთ გამარჯვების საერთო საქმეში.

ჩვენ ერთი წუთითაც არ ვივიწყებთ იმას, რომ მტერი ჯერ კიდევ არ არის დამარცხებული, რომ მრავალი მილიონი საბჭოთა ადამიანი ჯერ კიდევ იტანჯება ფაშისტთა უღელქვეშ. ჩვენ ვიცით, რომ გამარჯვების საქმის დასამთავრებლად საჭიროა მთელი ხალხის ძალ-ღონის ახალი დაძაბვა.

და ჩვენ ბოლომდე შევასრულებთ ჩვენს მოვალეობას.

ოქტომბრის სახელოვანი წლისთავის დღეს მშრომელნი კისრულობენ ვალდებულებას იმუშაონ ახალი ენერგიით, ძალ-ღონის დაუშურებლად, გამოიყენონ ყველა შესაძლებლობანი, რომ წითელი არმია შეუფერხებლივ ღებულობდეს ყოველივე იმას, რაც საჭიროა ისტორიული ამოცანის შესრულებისათვის — მტრის საბოლოო გადაგდურებისა და ჰიტლერულ სიბილწისაგან საბჭოთა მიწა-წყლის საკუთრებით გაწმენდისათვის.

ჩვენ განვამტკიცებთ შრომის დისციპლინას საწარმოებში, მივაღწევთ უმკაცრეს ეკონომიას, გავადიდებთ შრომის ნაყოფიერებას.

ჩვენს ყოველ ფიქრს, ჩვენს ყოველ საქმეს მივუძღვნით მტერზე გამარჯვებას.

უდიდესი სიხარულით შევხვდით ჩვენ, ძვირფასო ვიაჩესლავ მიხეილის-ძევ, ცნობას იმის შესახებ, რომ ომიანობის დროის ძნელ პირობებში ტანკების წარმოების გაძლიერების დარგში განსაკუთრებული დამსახურებისათვის თქვენ სოციალისტური შრომის გმირის წოდება მოგენიჭათ.

საერთაშორისო ვითარების რთულ პირობებში თქვენ განუხრელად ახორციელებთ ბრძნული სტალინური საგარეო პოლიტიკის პრინციპებს, იბრძვით თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ყველა ძალებისა და საბრძოლო ძლიერების მობილიზაციისათვის ჰიტლერული გერმანიის რაც შეიძლება მალე გასანადგურებლად.

ჩვენ ვიცით — კიდევ მოგველის ახალი ბრძოლები, უდიდესი შემოქმედებითი მუშაობა მტრისაგან განთავისუფლებულ რაიონებში სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის. ჩვენი ნებისყოფა ბრძოლისა და შრომისა შეუფყეველია, და რა ღრმაც უნდა იყოს ფაშისტი მტარვალების მიერ საბჭოთა მიწა-წყლისათვის მიყენებული ჭრილობები, ჩვენ დავეხმარებით ჩვენს ძმებსა და დებს მოიშუშონ ეს ჭრილობები, დავეხმარებით ჩვენი ქალაქებისა და სოფლების აღორძინებას სიცოცხლისა და ბედნიერებისათვის.

ყველა სიძნელისა და განსაცდელის გადალახვით საბჭოთა ხალხი ძლევამოსილად მიდის დიადი მიზნისაკენ — გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან მშობლიური მიწა-წყლის განთავისუფლებისაკენ.

საბჭოთა სამშობლოსათვის ბრძოლაში მიდიან ჩვენი დიადი ქვეყნის ყველა ხალხთა შვილები.

ისინი შეამჭიდროვა დიადმა სტალინურმა მეგობრობამ, ისინი აღზრდა **ლენინ-სტალინის** პარტიამ. ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს ხალხის შეტევითს მისწრაფებას ბრძოლასა და შრომაში, იმ ხალხისა, რომელიც იცავს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დიად მონაპოვართ.

გაუმარჯოს გმირ წითელ არმიას!

გაუმარჯოს დიდ რუს ხალხს!

გაუმარჯოს დიდი **სტალინის** ერთგულ თანამებრძოლს — სოციალისტური შრომის გმირს ვიაჩესლავ მიხეილის-ძე **მოლოტოვს!**

დიდება დიდ ბელადს, მასწავლებელსა და მხედართმთავარს, წითელი არმიის გამარჯვებათა ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს — ამხანაგ **სტალინს!**

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი

ამხანაგ ლ. პ. ბერიას

ძვირფასო ლავრენტი პავლეს-ძეო!

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს საზეიმო სხდომა პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტივთან და წითელი არმიის ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავისადმი, თავის მგზნებარე, გულითად სალამს გიძღვნით თქვენ — ქართველი ხალხის საყვარელ შვილს, დიდი **სტალინის** ერთგულ თანამებრძოლს.

საქართველოს მშრომელნი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავს ხვდებიან გმირი წითელი არმიის ძლევამოსილი შეტევის ვითარებაში, წითელი არმიის, რომელიც შეუკავებლად მიერეკება დასავლეთისაკენ ჰიტლერელი ურდოებს.

მტერი შორს არის უკუგდებული. მოახლოებულია ის ჟამი, როდესაც წმიდათა-წმიდა საბჭოთა მიწა-წყალი საბოლოოდ გაიწმინდება ჰიტლერული სიბილწისაგან.

ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ წითელი არმიის ამ ისტორიულ გამარჯვებებში, რომლებიც მოპოვებულია დიდი **სტალინის** მხედართმთავრული გენიის მეოხებით, დიდი წილი გიდევთ პირადად თქვენ, როგორც ამხანაგ **სტალინის** ერთ-ერთ უახლოეს თანაშემწეს გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვების ორგანიზაციის საქმეში.

როდესაც შარშან ჰიტლერელი დამპყრობლები ამიერ-კავკასიისაკენ გამოიჭრნენ და საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ხალხებს თავს დასტრიალებდა მომაკვდინებელი საფრთხე, თქვენ, ძვირფასო ლავრენტი პავლეს-ძევ, ასრულებდით **სტალინის** ნებისყოფას, კვლავ ჩვენთან იყავით, თქვენ დარაზმეთ ქართველი ხალხი და კავკასიის სხვა მოძმე ხალხები მტრისათვის გადამწყვეტი წინააღმდეგობის გასაწევად. თქვენმა მძლავრმა ორგანიზატორულმა ნიჭმა, თქვენმა შეუდრეკელმა ნებისყოფამ აღაფრთოვანა ამიერ-კავკასიის ფრონტის ჯარები სახელოვანი საგმირო საქმეებისათვის ჰიტლერელი დამპყრობლების წინააღმდეგ წმიდათა-წმიდა ბრძოლაში. მტერი ჯერ შეჩერებულ, ხოლო შემდეგ განადგურებულ იქნა კავკასიის მთებში.

მთელი რიგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდით რა საქართველოს მშრომელებს, თქვენ აღზარდეთ ქართველ ხალხში ღრმა სიყვარული ჩვენი დიადი სამშობლოსადმი და მზადყოფნა საკუთარი მკერდით დაიცვან იგი. ქართველი ხალხის ბევრმა შვილმა თავი ისახელა ბრძოლებში დიდი სამამულო ომის სხვადასხვა ფრონტზე. ქართველთა სახელები ბრწყინავენ საბჭოთა კავშირის გმირების სახელოვან ოჯახში.

თავდადებით იბრძვის გამარჯვებისათვის ქართველი ხალხი ზურგშიც. საქართველოს მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია გაათკეცებული ენერგიით შრომობენ იმისათვის, რომ ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ ფრონტს.

უდიდესი სიხარულის გრძნობით შევხვდით ჩვენ ცნობას იმის შესახებ, რომ თქვენ, ძვირფასო ლავრენტი პავლეს-ძევ, ომიანობის დროის ძნელ პირობებში საჭურვლისა და საომარი მასალების წარმოების გაძლიერების დარგში განსაკუთრებული დამსახურებისათვის სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება მოგენიჭათ.

სიტყვას გაძლევთ, რომ კიდევ უფრო გავაძლიერებთ ფრონტისადმი დახმარებას და ჩვენი გმირი წითელი არმიის ისტორიულ გამარჯვებებს ვუპასუხებთ ახალი მიღწევებით სოციალისტური შრომის ყველა დარგში.

ჩვენ ვიცით, რომ კიდევ მოგველის ბევრი სიძნელე, რომ მტრის საბოლოო განადგურების ამოცანა მოითხოვს ჩვენგან კიდევ ბევრ მსხვერპლს, რომ მიღწეულით დაკმაყოფილება არ სჩვევია საბჭოთა ხალხს.

დიდი რუსი ხალხის — სსრ კავშირის თანასწორ ხალხთა ოჯახში უფროსი ძმის მბარდამხარ, ურღვევი სტალინური მეგობრობის დროშით, დიდი **სტალინის** მიერ შთაგონებულნი, ჩვენ განვაგრძობთ თავდადებულ ბრძოლას იმისათვის, რომ მოვაახლოოთ სანატრელი ჟამი ჩვენი მოსისხლე მტრის—ჰიტლერული გერმანიის სრული განადგურებისა და მოსპობისა.

გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა დიად სტალინურ მეგობრობას!

გაუმარჯოს ჩვენს გმირ წითელ არმიას!

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ მეგობარსა და ალმზრდელს, სოციალისტური შრომის გმირს — ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას!**

გაუმარჯოს დიდ მარშალს, წითელი არმიის გამარჯვებათა ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს — ჩვენს მშობლიურ **სტალინს!**

მწერალი ი. სელვინსკი ესაუბრება ანაპის 414-ე დივიზიის მეთაურს პოლკოვნიკ გ. ყურაშვილს ანაპისა და ტამანის ნახევარკუნძულზე ჩატარებული ბრძოლების შესახებ. სურათზე: პოლკოვნიკი გ. ყურაშვილი, კაპიტანი ნ. ტოლკაჩოვი, პოლკოვნიკი ხ. ბერუჩაშვილი, მწერალი ილია სელვინსკი. ფოტო ვ. ტოფანისა.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

6 ნოემბრის ოპერაციული ცნობიდან

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა სწრაფად ჩატარებული შეტევითი ოპერაციისა და შემოვლითი მანევრის შედეგად გაანადგურეს მათ წინააღმდეგ მდგომი გერმანელთა ჯარები და 6 ნოემბერს განთიადისას იერიშით დაიკავეს საბჭოთა უკრაინის დედაქალაქი კიევი. მოწინააღმდეგემ უდიდესი ზარალი ნახა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა წარმატებითი შეტევა განავითარეს და დაიკავეს კიევის ოლქის რაიონული ცენტრი ქალაქი ვასილკოვი, აგრეთვე დაიკავეს 60-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ლუბიანკა, ოზიორი, კოსტომელი, ბლისტავიცა, ბუჩა, იაბლონკა, სოფიევსკაია და ნიკოლსკაია ბოგუშევკა, შევჩენკო, პეტროვსკი, ულიანი, მიშელოვკა, კრიუკოვშჩინა, გატნოე, ხოტივი, პიროგოვო, ვიტა ლიტოვსკაია, ზაბორიე, ბოიარკა-ბუდაევკა, ტარასოვკა, იუროვკა, ვეტა პოჩტოვაია, გლევახა და რკინიგზის სადგურები ბუჩა, ულიანი, ბოიარკა.

ამ დღეებში ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ჯარებმა შავი ზღვის ფლოტთან და აზოვის სამხედრო ფლოტილიასთან თანამოქმედებით წარმატებითი სადესანტო ოპერაცია განახორციელეს და ჯარები გადასხეს ჭერჩის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაპირზე ქალაქ ქერჩის ჩრდილო-აღმოსავლეთით და სამხრეთით მდებარე რაიონებში. ქალაქ ქერჩის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა მტრის წინააღმდეგობა გასტეხეს, დაიკავეს ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტები ოსოვინა, მაიაკი, ჟუკოვკა, ოპასნაია, კრეპოსტ ენიკალე, ბაძხი, კაპკანი და შეჰქმნეს ამ რაიონში პლაცდარმი ფრონტით 10 კილომეტრი სიგანისა და 6 კილომეტრი სიღრმისა. ქალაქ ქერჩის სამხრეთით ჩვენმა სადესანტო ნაწილებმა დაიკავეს მოწინააღმდეგის ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტი ელტიგენი. არაერთი კონტრიერიში, რომელიც მოწინააღმდეგემ მოიტანა ჩვენი გადამსხდარი ნაწილების წინააღმდეგ, მოგერიებულ იქნა, ამასთან მტერმა დიდი ზარალი ნახა.

ნიკოპოლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დნეპრის მარცხენა ნაპირზე, ჩვენი ჯარები მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების კონტრიერიშებს იგერიებდნენ და დიდი ზარალი მიაყენეს მის ცოცხალ ძალახა და ტექნიკას.

დნეპრის მოსახვევში, დნეპროპეტროვსკის სამხრეთ-დასავლეთით, ჩვენმა ჯარებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების იერიშები, ბრძოლების მსვლელობაში მოწინააღმდეგემ უდიდესი ზარალი ნახა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

ნეველის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები ხძლეოდნენ მტრის წინააღმდეგობას და განაგრძობდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები, მათ შორის კრასნოკოლიე, გულიგი, ბოლშოე სიტნო და რკინიგზის სადგურები კლიასტიცი, ალიოშა.

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა და საარტილერიო-სანაღმტყორცნო სროლაა.

5 ნოემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 141 ტანკი. საშაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 57 თვითმფრინავი.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს საზეიმო სხდომა, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის 26 წლისთავისადმი

გუშინ საღამოს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში შესდგა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს საზეიმო სხდომა პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ აქტივთან და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და წითელი არმიის წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავისადმი. დარბაზი მორთულია წითელი ტილოებით, პლაკატებითა და ლოზუნგებით.

სცენის სიღრმეში, **ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის** პორტრეტის ფონზე, არის **ლენინის** საქმის დიდი განმგრძობის—**ი. ვ. სტალინის** პორტრეტი, დიდი **სტალინის** ერთგული თანამებრძოლების ამხანაგების **ვ. მ. მოლოტოვისა** და **ლ. პ. ბერიას** პორტრეტები.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ამხანაგები. ჩარკვიანი, ბაქრაძე, სტურუა, არმიის გენერალი ტიულენევი, რაფავა, ჯაში, ხოშტარია, ბუჯიაშვილი, თოფურიძე, იშხანოვი, კოკლამაზაშვილი, გენერალ-ლეიტენანტი ეფიმოვი, სოროკინი, ჩერქეზია, გოჩაშვილი, ეგნატაშვილი, სოციალისტური შრომის გმირები კიკნაძე, წიკლაური და გელაძე, ამხანაგები ფოცკი, მუსხელიშვილი, ჯანაშია, ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკები ამხ. ჭიაურელი, ვაჩაძე, აბაშიძე, გვარამაძე, სოხაძე, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, სამეცნიერო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი.

საზეიმო სხდომას ხსნის მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. გოჩაშვილი.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანს ამხ. ჩერქეზიას წინადადება შემოაქვს არჩეულ იქნას საპატიო პრეზიდიუმი.

— დიდი სტალინი!

დამსწრენი უდიდესი აღფრთოვანებით, ფეხზე ამდგარნი, ხანგრძლივი ოვაციით გამოხატავენ თავის მხურვალე სიყვარულსა და უსაზღვრო ერთგულებას ხალხთა ბელადის ამხანაგ **სტალინისადმი.** მქუხარე ტაშს ერთვის „ინტერნაციონალის“ ხმები. კვლავ და კვლავ ჰქუხს გრიგალისებური ოვაცია. მასში გამოხატულია უსაზღვრო სიყვარული საყვარელ ბელადისადმი, წითელი არმიის გენიალური მხედართმთავრის **იოსებ ბესარიონის-ძე სტალინისადმი,** რომლის წინამძღოლობით გმირი წითელი არმია ანადგურებს გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს და მიიერეკება მათ სულ უფრო და უფრო შორს დასავლეთისაკენ.

საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ აგრეთვე ამხანაგებს **ვ. მ. მოლოტოვს, კ. ე. ვოროშილოვს, მ. ი. კალინინს, ლ. მ. კაგანოვიჩს, ა. ა. ანდრეევს, ა. ი. მიკოიანს, ა. ა. ჟდანოვს, ნ. ს. ხრუშჩოვს, ლ. პ. ბერიას, ნ. მ. შვერნიკს, გ. მ. მალენკოვს, ა. ს. შჩერბაკოვს, ნ. ა. ვოზნესენსკის,** რასაც მთელი დარბაზი ხანგრძლივი ტაშით ხვდება.

მოხსენებისათვის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავის შესახებ სიტყვა ეძღვნება საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის მდივანს ამხანაგ **კ. ნ. ჩარკვიანს,** რომელსაც ტაშით შეხვდნენ.

თავის მოხსენებაში ამხ. კ. ნ. ჩარკვიანი ლაპარაკობს იმ გმირულ გზაზე, რომელიც განვლო სახელოვანმა წითელმა არმიამ გასულ წელს, მის დიდ ისტორიულ გამარჯვებებზე. მომხსენებელი ლაპარაკობს ჩვენი ქვეყნის ხალხთა დიად სტალინურ ზეგობრობაზე, საქართველოს სსრ მშრომელთა თავდადებულ მუშაობაზე მშობლიური წითელი არმიის დასახმარებლად, ქართველი ხალხის შვილებზე, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხთა შვილების მხარდამხარ თავდადებულად იცავენ სოციალისტური სამშობლოს ღირებულებას, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

ამხ. კ. ჩარკვიანი დარბაზის მქუხარე ტაშში ლაპარაკობს იმ უდიდეს შუბაჯაზე, რაც ჩატარა ამხანაგმა **ლ. პ. ბერიამ** ამიერ-კავკასიის ხალხთა ძალების მობილიზაციისათვის გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა გასანადგურებლად კავკასიონის მთისპირებში.

ამხ. კ. ნ. ჩარკვიანს არაერთხელ აწყვეტინებდნენ მოხსენებას მქუხარე ტაშით ხალხთა ბელადის დიდი **სტალინის,** ბოლშევიკების პარტიის, გმირი წითელი არმიის პატივსაცემად, დიდი **სტალინის** ერთგული თანამებრძოლის—ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** პატივსაცემად.

აღფრთოვანებული ტაშით, გულთბილად ესალმება დარბაზი ანაპის 414-ე დივიზიის დელეგაციას.

ყველანი ფეხზე დგებიან, დიდხანს არ სცხრება ტაში, რომლითაც სხდომის მონაწილენი გამოხატავენ მხურვალე სიყვარულს წითელი არმიისადმი, აღტაცებას სახელგანთქმული დივიზიის საგმირო საქმეებით.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან: **კაპიტანი** ალექსანდრე ამბერკის-ძე ხარატიშვილი, დაჯილდოებული სამამულო ომის I ხარისხისა და წითელი ვარსკვლავის ორდენებით; მაიორი ლეონიდე პლატონის-ძე ჩიქვინიძე, დაჯილდოებული სამამულო ომის I ხარისხის ორდენით; კაპიტანი შალვა ვიქტორის-ძე დავითულიანი, დაჯილდოებული წითელი დროშეს, სამამულო ომის I ხარისხისა და წითელი ვარსკვლავის ორდენებით; მაიორი გრიგოლ ნესტორის-ძე ხვნეია, დაჯილდოებული წითელი ვარსკვლავის ორდენით; უფროსი ლეიტენანტი აკაკი კალისტრატეს-ძე წურწუმია, დაჯილდოებული წითელი ვარსკვლავის ორდენით; წითელარმიელი ანდრია იონას-ძე გომხოთელიანი, დაჯილდოებული წითელი ვარსკვლავის ორდენით.

დამსწრენი დიდი ყურადღებით ისმენენ მაიორ ჩიქვინიძის გამოსვლას, რომლის პატაკშიც მკაფიოდ არის მოთხრობილი ქართველი ხალხის შვილთა თავდადება, რაც მათ გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლებში გამოიჩინეს.

მთელი დარბაზის ხანგრძლივი ტაშით იღებენ წინადადებას მისალმება გაეგზავნოს ამხანაგ **სტალინს.** მისალმების ტექსტს, რომელიც წაიკითხა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. იშხანოვმა, არაერთხელ აწყვეტინებენ აღტაცებული ოვაციებით დიდი **სტალინს** პატივსაცემად.

დარბაზში ახალი ძალით ჰქუხს აღტაცებული ტაში, როდესაც თავმჯდომარე ამბობს, რომ შემოსულია წინადადება ვაეგზავნოს მისალმება დიდი **სტალინის** ერთგულ თანამებრძოლს ამხანაგ **ვ. მ. მოლოტოვს.** მქუხარე ტაშით სხდომა იღებს ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვისადმი მისალმებას, რომლის ტექსტსაც აქვეყნებს საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის მდივანი ამხ. ხოშტარია.

სრულ 8 საათზე მოსკოვის დროით ჩართულ იქნა დარბაზში დადგმული რეპროდუქტორები. იწყება ტრანსლაცია მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომისა, რომელიც მიძღვნილია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავისადმი. შეკრებილთა მთელი ყურადღება, ფიქრები და გრძნობები მიპყრობილია მშობლიური მოსკოვისაკენ.

ერთიანი აღფრთოვანებით ყველანი ფეხზე დგებიან, დიდხანს არ სცხრება მქუხარე ოვაცია, როდესაც რადიო გადმოსცემს, რომ მოხსენებისათვის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავის შესახებ სიტყვა ეძღვნება თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხანაგ **ი. ბ. სტალინს.** დარბაზიდან გაისმის მხურვალე მისასალმებელი შეძახილები მშობლიური საყვარელი ბელადისა და ხასწავლელის **იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის** პატივსაცემად.

დიდი ბელადის, წითელი არმიის გენიალური მხედართმთავრის ამხანაგ **ი. ბ. სტალინის** ყოველი სიტყვა ღრმად სწვდება გულში, ოფუფოდებს სამშობლოს წინაშე ფშიდათა-ფშიდა ვალის შესრულებისაკენ, შემდგომი თავდადებული ბრძოლისა და მუშაობისაკენ, თითოეულს უნერგავს ვერაგ და გამბოროტებულ მტერზე სპობილო გამარჯვების ფიქრებს რწმენას. დაძაბულად ისმენენ საზეიმო სხდომის ყველა მონაწილენი ამხანაგ **ი. ბ. სტალინის** ბრძნულ ისტორიულ სიტყვებს. ამხანაგ **სტალინს** არაერთხელ აწყვეტინებენ მოხსენებას მქუხარე ოვაციით იქ, საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქში. სიხარულით აღსავსე ამ ოვაციას ერთვის თბილისის საბჭოს საზეიმო სხდომის მონაწილეთა მხურვალე, გულის სიღრმიდან მომდინარე აღტაცებული ტაში და მისასალმებელი შეძახილები.

ტრანსლაცია დამთავრებულია. წინადადება შემოდის გაეგზავნოს მისალმება დიდი **სტალინის** ერთგულ თანამებრძოლს ამხანაგ **ლ. პ. ბერიას.** ყველა დამსწრენი მქუხარე ოვაციით, უდიდესი აღფრთოვანებით, ხანგრძლივი ტაშით იღებენ ამხანაგ **ლ. პ. ბერიასადმი** მისალმებას, რომლის ტექსტსაც აქვეყნებს ამხ. მ. ჭიაურელი.

საზეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი თბილისის საუკეთესო ტალანტული ძალების მონაწილეობით.

გალაკტიონ ტაბიძე

საქართველოს სახალხო პოეტი

საოქტომბრო ფიცი

თასს სადღეგრძელოს ხელში ვიღებ. ასსა და ათასს
დაე ესმოდეთ: ერთმანეთის გატანა ვიცით.
შეხედეთ ამ თასს, მეომრებო, შეხედეთ ამ თასს —
იგი სავსეა არა ღვინით—არამედ ფიცით,

ქართველის ფიცით, ვისიც ეხლა ისმენთ გულისთქმას
მარად ერთგულის გრდემლის, კალმის, ხმლისა და გუთნის,
მებრძოლის ფიცით, რომ არასდროს არ ჩავაგებთ ხმალს
მის დასაცავად, ვის სიცოცხლე ჩვენი ეკუთვნის.

უსამშობლოოდ, დე, ეს ღვინო გადმექცეს შხამად
და სასიკვდილო გაზმორებად მოედოს ძარღვებს,
როგორც ეკუთვნის, როგორც უნდა განსაცდელ ჟამად
ვინაც ფიცსა სტეხს, ვინაც ძმობის სიმტკიცეს არღვევს.

სამშობლოს ჩვენსას ბევრი ომი გადუტანია —
მრავალ ქარიშხალს გვიხატავდა ცხოვრება ქართლის,
ის თავდადების და გმირობის მატიანეა—
ეხმაურება იმ ხმალს ჩვენი ხმალი სიმართლის.

თასს უკანასკნელს ვცლი, დავცალე, გადავდივარ მას,
დეე, დაიმსხვრეს მტერი მძლავრის ჩვენის სიმტკიცით,
ახსოვდეს ყველას, ვინც აიღებს ამ მშობლიურ თასს,
რომ ის სავსეა არა ღვინით, არამედ ფიცით.

საბჭოთა კავშირის გმირი გრიგოლ მიხეილის-ძე ბუაჩიძე

გმირულ ბრძოლაში, რომელსაც სახელოვანი წითელი არმია ეწევა, ბევრმა წმებრძოლმა და მეთაურმა გამოიჩინა უმაგალითო მამაცობა, უშიშრობა და მხედრული ოსტატობა.

მდინარე დნეპრის წარმატებით გადალახვისათვის, მდინარე დნეპრის დასავლეთ ნაპირზე პლაცდარმის მტკიცედ გამაგრებისა და გაფართოებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით გვარდიის უფროს სერჟანტ გრიგოლ მიხეილის-ძე ბუაჩიძეს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და გადაეცა ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“.

არტილერისტი გრიგოლ ბუაჩიძე უკვე 4 წელია წითელი არმიის რიგებში იმყოფება. იგი მონაწილეობას იღებდა თეთრფინელების წინააღმდეგ ბრძოლებში.

სამამულო ომის დაწყების დღიდან იგი ფრონტზეა. მან არა ერთხელ გამოიჩინა მამაცობა და გამბედაობა. გრიგოლ ბუაჩიძემ მონაწილეობა მიიღო სტალინგრადის გმირულ დაცვაში. მას მკერდს უმშვენებს მედალი „სტალინგრადის დაცვისათვის“.

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის გვარდიის უფროსი სერჟანტი გრიგოლ მიხეილის-ძე ბუაჩიძე დაჯილდოებულია წითელი დროშის და წითელი ვარსკვლავის ორდენებით.

ამჟ. ბუაჩიძე ხარკოვისათვის ბრძოლების მონაწილეა.

„დნეპრამდე ჩვენი სვლა ძლევამოსილი იყო, — სწერს ამხ. ბუაჩიძე ოქტომბერში გამოგზავნილ წერილში, — მოსახლეობა აღფრთოვანებით გვეგებება და საჩუქრებს გვიზავნის. ახლა უკვე დნეპრის მარჯვენა ნაპირზე ვართ“.

ასეთია გმირის საბრძოლო ცხოვრების გზა.

საბჭოთა კავშირის გმირი გრიგოლ მიხეილის-ძე ბუაჩიძე დაიბადა 1916 წელს ორჯონიკიძის რაიონის სოფ. ფარცხნალში. მისი მშობლები მიხეილ გრიგოლის-ძე და ნინო ლენტრის-ასული ბუაჩიძეები საუკეთესოდ მუშაობენ სოფ. ფარცხნალის კოლმეურნეობაში, გმირის და ვალია კი კოლმეურნეობის აგროტექნიკოსია.

გრიგოლმა დაამთავრა ხარაგოულის საშუალო სკოლა. ერთი წლის განმავლობაში მუშაობდა ხაშურის რაიონის სოფ. სატივეს დაწყებითი სკოლის გამგედ და მასწავლებლად. წითელი არმიის რიგებში გაწვევამდე—1939 წლამდე მასწავლებლად იყო სამტრედიის რაიონის სოფ. ეწერში.

ქართველი ხალხი ამაყობს თავისი სახელოვანი გმირი შვილებით.

დ. მაისურაძე

მრეწველობისა და ხოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები. სურათზე—მარცხნიდან მარჯვნივ: ორდენოსანი კონსტანტინე ილურიძე (თბილისი), ორდენოსანი ბიძინა თოდიძე (ტყიბული), ლიუდა ხურციძე (მახარაძე) და გიორგი ხატიაშვილი (სიღნაღი).

ფოტო რ. აკოფოვისა.

მგკიცე და უარღვევია ხალხთა სტალინური მეგობრობა

მახარაძე („კომუნისტის“ საკ. კორ.). 3 ნოემბერს სოფ. შრომის ორჯონიკიძის სახელობის ორდენოსან კოლმეურნეობაში შესდგა მიტინგი, მიძღვნილი უკრაინის სსრ-ის ბელინსკის გენიჩესკის რაიონის განთავისუფლებისადმი გერმანელ ფაშისტ-დამპყრობთა უღლისაგან. მიტინგის მონაწილეებს საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ეს სასიხარულო ცნობა გაეცნო საქ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მეორე მდივანმა ამხ. ს. ესაძემ. მოწინავე კოლმეურნე ე. მეგავანაძემ სთქვა: მე მინახავს გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის აყვავებული კოლმეურნეობა, რომელთანაც ჩვენი კოლმეურნეობა სოციალისტურ შეჯიბრებაში იყო ჩაბმული. იგი ახლა ფაშისტებისაგან აოხრებულია, მისთვის დახმარება პირველ რიგში ჩვენი ვალია. მე პირადად ჩემი ოჯახიდან გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს ვუგზავნი 20 ცალ საოჯახო ნიფთს, 10 ფუთ მარცვალს, 5 ფუთ ღვინოს და 2.000 ცალ ციტრუსს. ორი ფრონტელის მამამ ალექსანდრე არომელიძემ სთქვა: კიდევ უფრო სტაბანოვურად ვიმუშავებ, რომ მზარდი მოსახლეობა ფაშისტებისაგან დაზარალებული ადგილებისა და ოჯახებისთვის ეკმაროს.

ბუაჩიძემ (ბ. ბ. ბ.